ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 33
(11 182)
29 აპრილი – 1 მაისი, 1998 წ. ფასი 40 თეთრი
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# მარჯი საქართველოს!

# სასწაული, რომელსაც სამბოს ქართველ ოსტატთა ბრწყინვალე წარმატება ჰქვია

## ანუ ერთი ჩვეულებრივი მედალი ევროპის ჩემპიონატიდან

**ქართველი სამბისტებისაგან რომ განებივრებული ვართ წარმატებებით ძველია, არ ახალია. ოლეგ იაძის შეგირდები თამამად დააბიჯებენ ჩვენს პლანეტაზე და ნებისმიერი რანგის შეჯიბრებიდან ხელდამშვენებულნი ბრუნდებიან დედასამშობლოში.**

ამჯერად, ჩვენმა რაინდებმა, ლიტვის ქალაქ შაულიაეში გამართულ ევროპის ჩემპიონატში გვასახელეს. აქ ერთდროულად სამბოს სამი თაობის რჩეულთა შეჯიბრება გაიმართა და ჩვენმა სამივე ნაკრებმა წარმატებით იასპარეზა. ჭაბუკებიდან შესანიშნავი ოსტატობა გამოავლინეს ქუთაისელმა ტყუპმა ძმებმა თემურ და თამაზ ნეფარიძეებმა — თემური (52 კგ) ჩემპიონი გახდა, თამაზმა (56 კგ) კი ვერცხლის მედალი დაისაკუთრა. ჩემპიონი გახდა აგრეთვე ფოთელი ლევან ანთაძე (75), წყალტუბოელმა სოსო მუკბანიანმა (70) კი III ადგილი დაიკავა. ახალგაზრდებს შორის ყველაზე უკეთ ჩვენებიდან იასპარეზა გორელმა ნიკო ბიბილაშვილმა (74), რომელიც უძლიერესი იყო თავის წონაში, მეორე ადგილზე გავიდა თბილისელი გიორგი ჩადუნელი (90), მესამეზე — ხობელი ლევან ლაგვილავა (48), საგარეჯოელები ლევან ჭიაბრიშვილი (68) და ლაშა ცხვარიაშვილი (მძიმე), თბილისელი გიორგი ლოლუაშვილი (100). მოხდა ისე, რომ ლაგვილავა დიდების ასპარეზობაშიც დაუშვეს, ერთბაშად 4 კგ წონა აღიდგინა და 52 კგ წონით კატეგორიაში სცადა ბედი. ხობელი ფალავანი აქაც III იყო და სპეციალისტთა დიდი მოწონება დაიმსახურა. ზრდადასრულებულ სამბისტთა შორის კვლავ ისახელა თავი მცხეთელმა არჩილ ჩოხელმა (68) და გორელ იოსებ ახალბედაშვილთან (100) ერთად საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ვერცხლის მედალი ხვდათ ყვარელელ გია შარიაშვილს (82) და კასპელ ჯამბულ ქამხაძეს (მძიმე), ხოლო მეორე — კასპელი ივანე გამხიტაშვილი (90) III ადგილს დასჯერდა. ამ გუნდმა საერთო ჩათვლაში II ადგილი დაიკავა.

---

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა ევროპის ჩემპიონატი

# მომავლის გუნდი წარმატებას ერთბაშად ვერ მოიპოვებს

კაცმა რომ თქვას, ევროპის ჩემპიონატისთვის ჩვენი „კლასიკოსები“ ურიგოდ არ მომზადებულან. ყველაფერი გაკეთდა სასწავლო-სპორტული შეკრების მაღალ დონეზე ჩასატარებლად, იყო სპარინგ-შეხვედრები, მწვრთნელთა გულდასმითი ანალიზი, გათვლები, წონით კატეგორიებში კორექტივები, წვრილმან საწვრთნო თუ საყოფაცხოვრებო საკითხებზე აღარ შევჩერდებით. ყველაფერმა ზემოთქმულმა სპორტსმენებს, მათ მწვრთნელებს და ფუნქციონერებს, ცხადია, გულშემატკივრებსაც ჩაუსახა იმედი, რომ მინსკში, კონტინენტის რჩეულ ფალავნებთან პაექრობებში ჩვენებს თავი არ უნდა შეერცხვინათ, მით უფრო, შარშანდელ ჩემპიონატში გუნდურ მესამე საპრიზო ადგილზე გავედით. სწორედ ის, რომ გასულ წელს ურიგოდ არ გამოვედით, არ შეიძლება უკვალოდ ჩავლილიყო მეტოქეებისთვის. განა ბევრი გუნდია ანგარიშგასაწევ ძალას რომ წარმოადგენს? ცხადია, არა, ამიტომ ყველა ცდილობს ნებისმიერი ნიუანსიც-კი უყურადღებოდ არ დატოვოს, რათა მეტოქეს კვარცხლბეკთან მისასვლელი გზა გადაუკეტოს. მინსკში, როგორც ჩანს, ვინც ყველაფერი უკეთ გათვალა, იმან იზეიმა წარმატება. იმას არ ვამბობთ, რომ ჩვენების წინა ჩემპიონატის შედეგმა მოადუნა, ან მინსკში იქნებოდნენ გულარხეინად, პირიქით, დელეგაცია: ხელმძღვანელებიც და წევრებიც, როგორც შევიტყვეთ, უდიდესი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ საქმეს, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმუმი იმაზე მეტს ვერ გასწვდა, რაც მოვიმკეთ. ჩვენი დაკვირვებით, ახლანდელი, განახლებული ჩვენი ეროვნული ნაკრები, ალბათ, მომავლის გუნდი უფროა და მიზანმიმართული მუშაობის პირველი შედეგი, მეტნაკლებად, იქნებ, წელსვეც გამოჩნდეს მსოფლიო ჩემპიონატზე.


ხვიჩა ბიჩინაშვილი

დავუბრუნდეთ ევროპის ჩემპიონატს. მინსკში შეიკრიბნენ 37 ქვეყნის წარმომადგენლები. როგორც ადრე ვიუწყებოდით, ფინალში პაექრობის უფლება მოიპოვა ხვიჩა ბიჩინაშვილმა (76 კგ.) მისი მეტოქე იყო რუსეთელი მურად კარდანოვი. უფრო გამოცდილმა კარდანოვმა წმინდად მოიგო ეს შერკინება და ჩვენი ფალავანი ვერცხლის მედალს დასჯერდა. ბრინჯაოს მედლის დაუფლების კარგი შანსი გააჩნდა ტარიელ მელელაშვილს (69), მაგრამ სამისო უფლების მოპოვების გადამწყვეტი შეხვედრა დათმო და საბოლოოდ V ადგილს დასჯერდა. VII იყო აკაკი ჩაჩუა, კობა გულიაშვილი (58), ზაზა სილაგაძე (97) და მირიან გიორგაძე (მძიმე) — VIII, ემზარ მახარაძე (85) — IX.

*გუნდური:* 1. რუსეთი, 2. ბელარუსი, 3. თურქეთი, 4. უკრაინა, 5. საქართველო, 6. ბულგარეთი.

მიმომხილველი

---


ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი პლეი-ოფები

**პირველი შეხვედრა III ადგილისათვის: სდასუ (თბ) — დინამო (თბ) 81:74**

**_ხდასუ:_ ჩხეიძე (32), სანაძე (24), ჩერქეზიშვილი (4), ნაცვლიშვილი (16), ოთიურიძე (5), ახობაძე.**

**_დინამო:_ ჩიქოვანი (5), მაისურაძე (18), შანიძე (10), კილაძე (17), ბეჟანიშვილი (16), ნათაძე (3), ნინიაშვილი (5), მეჭურჭლიშვილი.**

პირველივე შეტევაში სდასუ დაწინაურდა ჩხეიძის ფარზე გასვლით. აღსანიშნავია, რომ ისრაელიდან ჩამოვიდა საქართველოს ნაკრების წევრი რეზო ჩხეიძე, რომელსაც იქაურ კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდა. მას სდასუს გუნდში უნდა გაეგრძელებინა კარიერა, მაგრამ თავი იჩინა გაურკვევლობამ — თითქოსდა განთავისუფლების ბარათში კონკრეტულად არ იყო მითითებული, რომ იგი უკვე თავისუფალი კალათბურთელია და ისრაელის კლუბთან კავშირი აღარ აქვს. საბოლოოდ, ყველაფერი დღეს გადაწყდება. სდასუმ ჩხეიძის გარეშეც იმარჯვა, მიუხედავად იმისა, რომ პირველი ნახევარი 36:32 დათმო. შესვენების შემდეგ გუნდი მობილიზებული გამოვიდა, რომლის ლიდერობაც ამჯერად გია ჩხეიძემ ითავა და ბრწყინვალეთაც. „დინამო“ ფინალის მიღმა დარჩენის შემდეგ მორალურად დაითრგუნა, ფსიქოლოგიურადაც ვერ იყო მთლად „ჯანზე“, ამას დაერთო ყველასათვის ცნობილი ინციდენტი და ყოველივემ უარყოფითი გავლენა მოახდინა გუნდზე.

**ფინალი. პირველი შეხვედრა ვითა (თბილისი) — აზოტი (რუსთავი) 92:93**

**_ვითა:_ აბრამიძე (16), ორმოცაძე (9), ტურაშვილი (22), ჩუბინიძე (8), დავითულიანი (10), კორძაძე (5), კოკოლიშვილი (8), განიძე (2), ლოსაბერიძე (6).**

**_აზოტი:_ გაბისონია (8), ბოისა (25), კიკვიძე (3), წიკლაური (8), ბერუაშვილი (5), გოგობერიშვილი (14), ჯაფარიძე (30), კოჭლამაზაშვილი.**

ასეთი დრამატული, სანახაობრივად დაძაბული, საინტერესო შეხვედრა, ნამდვილად რომ ამშვენებს კალათბურთს. ზუსტად ფინალის დარი მატჩი გამოდგა და სავსებითაც გაამართლა. მართალია, მაყურებლის მოზღვავება ჯერ არ იყო, მაგრამ მომავალში უთუოდ შეივსება ტრიბუნები. მოედანზე შემოიყვანეს „ჰუნდაის“ ფირმის მსუბუქი მიკრომანქანა, რომელსაც შემდგომში გაათამაშებენ, თუ რა პრინციპით, შემდგომში შევიტყობთ.

„ვითა“ პირველივე წუთებში ორმოცაძემ დააწინაურა სამქულიანით და უმალვე შეტევისას კიდევ ორი ქულა ჩაიწერა აქტივში. ამას რუსთაველთა მხრიდან საპასუხო რეაქცია მოჰყვა და ბოისამ ორი ჯარიმა გამოიყენა. შემდეგ, რაც უფრო გადიოდა დრო, უფრო იზრდებოდა „ვითას“ უპირატესობა. განსაკუთრებით აბრამიძე აქტიურობდა, რომლის მახვილგონივრული, ზუსტი პასები ყოველთვის პოულობდა ადრესატს. პირველი ტაიმის დამთავრებამდე სამი წუთი რჩებოდა — „ვითა“ წინ იყო 42:26. მოწინააღმდეგე გუნდში არეულობამ და ქაოსმა დაისადგურა, არა და არ წაუვიდა თამაში არც გოგობერიშვილს (მან მხოლოდ ერთი სამიანი ჩააგდო), არც ცენტრს — ჯაფარიძეს. ამასთან, ეს უკანასკნელი ყოველ პერსონალურზე აპროტესტებდა მსაჯის გადაწყვეტილებას, მოკლედ, ყოველთვის უკმაყოფილო იყო. სწორედ ამიტომ, პირველი ნახევრის მიწურულისთვის, მან ტექნიკური შენიშვნა დაიმსახურა. საბოლოოდ, პირველი ტაიმი 46:37 დასრულდა.

შესვენების შემდეგ მატჩის სცენარი კარდინალურად შეიცვალა, „აზოტმა“ თითქოს დამატებითი ენერგია მოიკრიბა, სულ სხვაგვარად ითამაშა და შედეგმაც არ დააყოვნა. ის უპირატესობა ანგარიშში, რასაც თბილისელი კალათბურთელები ფლობდნენ, ნელ-ნელა მცირდებოდა. რუსთაველთაგან განსაკუთრებით ჯაფარიძე ათამაშდა, რომელიც ფარქვეშ შეუჩერებელი გახდა. შეხვედრის II ტაიმი ხუთი წუთის დაწყებული იყო, „ვითა“ კი მხოლოდ ოთხ ქულას იგებდა. აქედან დაიწყო სამქულიანების კასკადი. ზედიზედ ოთხმა შორეულმა ტყორცნამ მიაღწია მიზანს ორივე გუნდის ფარში, მონაცვლეობით. ტაბლოზე 11 წუთი და 14 წამი რჩებოდა, სხვაობა ანგარიშში კი ქულამდე დავიდა, ბურთს თბილისელები ფლობდნენ, თამაშის სადავეები ტურაშვილმა აიღო, ცოტა არ იყოს გარისკა და... სამქულიანი. ამის შემდეგ „ვითამ“ ორწუთიანი წარუმატებელი სერია დაიწყო. გუნდმა ამ პერიოდში ქულაც ვერ აიღო, მეტოქემ კი ისარგებლა და კვლავ ჯაფარიძის ბრწყინვალე თამაშის წყალობით რუსთავი ამ შეხვედრაში პირველად გაიჭრა წინ 75:74. გაკიაფდა გამარჯვების ნაპერწკალი. რუსთაველთა აურაცხელი გულშემატკივრები ომახიანი შეძახილებით ამხნევებდნენ თავის გუნდს.

„ვითა“ როგორც იქნა „მოეგო გონს“ და სწრაფი შეტევა აბრამიძემ სამი ქულით დააგვირგვინა — ანგარიში გათანაბრდა. შეხვედრის დამთავრებამდე 1 წუთი და 12 წამი რჩებოდა — 90:89, წინ იყო „აზოტი“, ბურთს კი „ვითა“ ფლობდა. ისევ აბრამიძე და... 91:90, თბილისელთა სასარგებლოდ. რუსთაველებმა წუთშესვენება აიღეს. მოედანზე გოგოლაძე გამოჩნდა, რომელიც ფარზე ბურთის მოხსნის ოსტატად ითვლება. ჯაფარიძემ ორი ქულა შესძინა გუნდს საჯარიმოებიდან, მაგრამ გოგოლაძე შეტევაში დაჯარიმდა, კოკოლიშვილმა კი 2-დან 1 ჩააგდო. ბურთის ტარების უფლება „აზოტმა“ მოიპოვა, მაგრამ... ნაცვლად იმისა, რომ დარჩენილი 30 წამი ბოლომდე გაეთამაშებინა, იჩქარა, რასაც გოგობერიშვილის გარბენი მოჰყვა. მოგების შანსი გაუჩნდა „ვითას“, მაგრამ შეტევაში დავითულიანი დაჯარიმდა, რჩებოდა წამები. გაბისონიამ 2-დან 1 ჩააგდო, ეს კი საკმარისი იყო ნანატრი გამარჯვებისათვის.

ბოგა ლომიძე

---

# იუბილარის მადლობა



უღრმესი მადლობა: მინდა გადავუხადო საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს ჩემი მოკრძალებული წვლილის სახელმწიფო ჯილდოთი აღნიშვნისათვის, ასევე სპორტულ ორგანიზაციებს, ჟურნალისტებს, სამეგობროსა და საძმოს იმ სითბოსათვის, რომელიც მათ გამოხატეს ჩემს მიმართ დაბადებიდან 60 წლისთავთან დაკავშირებით.

მიგულეთ მუდამ თქვენს გვერდით.

უდიდესი მადლიერების გრძნობით

ჯანო ბაგრატიონი

---

საქართველოს IX ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში
I ჯგუფი, XXV ტური

**ლოკომოტივი (თბილისი) — ვიტ-ჯორჯია (თბილისი) 2-2**

**_ლოკომოტივი:_ დოლაბერიძე, არჩვაძე, ერაძე, ბარნოვი, კაკუბავა (გაგუა, 55), ქვარცხავა, ზამთარაძე (ამბიძე, 29), უაველაშვილი, კოტორაშვილი, დათვაძე, ხუციშვილი.**

**_ვიტ-ჯორჯია:_ ჯანელიძე, ილურიძე, კევლიშვილი, ჰოხონელიძე, ბურდული, დვალიშვილი, რუხაძე (ქუთათელაძე, 59. ალავიძე, 78), მაისურაძე, ნოზაძე, ჰუმბურიძე, გოჩაშვილი.**

**_გოლი:_ რუხაძე (32), დათვაძე (52), ნოზაძე (პენალტით, 65), ერაძე (89).**

**_გააფრთხილეს:_ არჩვაძე, ბარნოვი, ზამთარაძე, ილურიძე, დვალიშვილი, ნოზაძე.**

**_მსაჯი:_ ელგუჯა სილაგავა (თბილისი).**

რკინიგზელთა გუნდი, შეიძლება ითქვას, უმოტივაციოდ აგრძელებს IX ეროვნულ ჩემპიონატს — მათ ევროტურნირების საგზურის მოპოვების პრაქტიკული შანსი არ გააჩნიათ, I ჯგუფიდან გავარდნის ალბათობა კი ნულთან აქვთ გატოლებული. სამაგიეროდ, „ვიტ-ჯორჯია“ კვლავინდებურად სახიფათო ზონაში იმყოფება და გასვლაზე მოპოვებული ერთი ქულაც ალბათ მეტად წაადგებათ. თუმცა, ბოლო წუთები რომ გაეძლოთ, სამ ქულასაც დამსახურებულად მიითვლიდნენ, მაგრამ ლაშა ამბიძის მარჯვენა ფრთიდან ჩაწოდებული სტუმართა საჯარიმოს კუთხესთან ერაძეს მიუვიდა, რომელმაც აუღელვებლად გაისწორა ბურთი მარჯვენა ფეხზე (რაშიც ვიტ-ჯორჯიას მცველების ინერტულობაც წაეხმარა) და დაახლოებით 15 მეტრიდან უძლიერესი დარტყმით ჯანელიძის კარის ცხრიანში მოათავსა იგი — ასე გადაურჩა „ლოკომოტივი“ წაგებას. მთლიანობაში კი მატჩი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა, ოღონდ სტუმრები უფრო მონდომებულები ჩანდნენ. თამაშს კორექტულობა მაინც და მაინც არ დაჰკლებია, მაგრამ ეტყობა სილაგავას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ყველაზე მკაცრი არბიტრის იმიჯი შეიქმნას და ყვითელი ბარათები გულუხვად აფრიალა. მოკლედ, შეხვედრა ისეთი გამოდგა, რომ კაცს არც ჩაეძინებოდა და ვერც დიდად ნასიამოვნები დატოვებდა „ლოკომოტივის“ სტადიონს.

დათო თავართქილაძე

**გურია (ლანჩხუთი) — რუსთავი 1-1**

*ტურის სხვა მატჩები დღეს გაიმართება.*

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (თბ). | 23 | 19 | 2 | 2 | 65-12 | 54 |
| დინამო (ბთ). | 24 | 15 | 5 | 4 | 53-17 | 50 |
| კოლხ.-1913 | 24 | 14 | 5 | 5 | 45-19 | 47 |
| ტორპედო | 24 | 13 | 7 | 4 | 40-20 | 46 |
| ოდიში | 23 | 13 | 3 | 7 | 35-36 | 42 |
| თსუ | 24 | 11 | 6 | 7 | 32-21 | 39 |
| ლოკომოტივი | 25 | 10 | 7 | 8 | 30-32 | 37 |
| მერანი-91 | 24 | 10 | 6 | 8 | 32-30 | 31 |
| დილა | 24 | 8 | 4 | 12 | 21-29 | 28 |
| ვიტ-ჯორჯია | 25 | 6 | 9 | 10 | 22-30 | 27 |
| სიონი | 24 | 8 | 6 | 10 | 36-30 | 25 |
| რუსთავი | 24 | 7 | 3 | 14 | 22-37 | 24 |
| სამგურალი | 24 | 6 | 5 | 13 | 22-45 | 23 |
| გურია | 25 | 4 | 8 | 13 | 24-48 | 20 |
| მადაროელი | 23 | 4 | 4 | 15 | 19-50 | 16 |
| მარგვეთი | 24 | 1 | 6 | 17 | 17-59 | 9 |

შეგახსენებთ: „დინამოს“ (თბ.), „მერანსა“ და „სიონს“ დაკლებული აქვთ 5-5 ქულა.

---

# უკანასკნელ საათს...

მოსკოვიდან მივიღეთ ცნობა, რომ ახალგაზრდობის მსოფლიო თამაშებში, რომელიც ამ ქალაქში გაიმართება, კალათბურთელთა მხოლოდ 16 რჩეული გუნდი იასპარეზებს. შედგა წილისყრა: ***A ჯგუფი:*** რუსეთი, გერმანია, ბელგია, იაპონია; ***B ჯგუფი:*** აშშ, ხორვატია, ბელარუსი, სამხრეთი აფრიკა; ***C ჯგუფი:*** იუგოსლავია, საბერძნეთი, თურქეთი, ლიტვა; ***D ჯგუფი:*** ესტონეთი, ბრაზილია **საქართველო,** საფრანგეთი.

* * *

ფეხბურთი. რუსეთის თასი. ნახევარფინალი.

როტორი (ვოლგოგრადი) — სპარტაკი (მოსკოვი) 0-2.

ლოკომოტივი (მოსკოვი) — ალანია (ვლადიკავკაზი) დღეს გაიმართება. პირდაპირი ტელერეპორტაჟი РТР-ით 19 საათზე.

* * *

ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ორთაბრძოლებისათვის გაცხოველებული მზადება მიმდინარეობს — მის დაწყებამდე მხოლოდ 41 დღე დარჩა. შეჯიბრების ორგკომიტეტის თანათავმჯდომარემ მიშელ პლატინიმ მონდიალის მატჩის გახსნის გადიდებული ბილეთი-სუვენირი წარადგინა პრეზენტაციაზე.

---

# აფრიკაში მეორედ

დღეს საქართველოს ეროვნული ნაკრები ფეხბურთში ევრო-2000-ის შესარჩევი ტურნირის მატჩებისათვის მზადების პროგრამით ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებს ტურნირში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტ ნაკრებთან. ვლადიმერ გუცაევმა ამ თამაშისათვის 16 ფეხბურთელი შეარჩია: ***მეკარეები*** — ნიკა ტოგონიძე, დავით გვარამაძე; ***მცველები*** — გელა შეყილაძე, კახი ცხადაძე, ლევან ცქიტიშვილი, გივი დიდავა, კახი კალაძე, ლევან სილაგაძე; ***ნახევარმცველები*** — ლევან კობიაშვილი, გიორგი ნემსაძე, გოჩა ჯამარაული, გიორგი ქინქლაძე, ***თავდამსხმელები*** — თემურ ქეცბაია, შოთა არველაძე, არჩილ არველაძე, ალექსანდრე იაშვილი.

ეს არის საქართველოს ნაკრების მეორე აფრიკული ტურნე. პირველი, როგორც გახსოვთ 1994 წლის ივნისში ამერიკის მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე შედგა და ძალზე უიღბლო გამოდგა — ჩვენებმა ნიგერიასთან 1-5 წააგეს. მაშინდელი შემადგენლობიდან საქართველოს ნაკრებში არიან ცხადაძე, ნემსაძე, ჯამარაული, ქინქლაძე, შ. და ა. არველაძეები. ისინი და მათი მეგობრები ალბათ შეეცდებიან ოთხი წლისწინანდელი სირცხვილის ჩამორეცხვას.

გულშემატკივრებს შევახსენებთ, რომ მაისის თვის ბოლოს საქართველოს ნაკრები კიდევ ერთ ამხანაგურ მატჩს გამართავს — 30-ში რუსებს ვეთამაშებით.

---

# დაჯილდოება

სპორტის პროპაგანდის საქმეში შეტანილი წვლილისა, გაზეთ „ლელოში“ ხანგძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადებიდან 70 წლისთავთან დაკავშირებით, ვეტერანი ჟურნალისტი ***ოთარ გელაშვილი*** დაჯილდოვდა სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის საპატიო სიგელით.

# მილოცვა

„ლოკომოტივის“ ცენტრალური სპორტული კლუბი დაბადებიდან 70 წლისთავს ულოცავს რკინიგზელთა სპორტსაზოგადოების ყოფილ სპორტსმენს და მწვრთნელს ***ზურაბ მახნელს.***

## ფარიკაობა ● შესარჩევი ტურნირი

# ქუთაისელები აშკარად გააქტიურდნენ

ქუთაისის სპორტულმა ლიცეუმმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ჩვენს ქვეყანაში სპორტსმენთა აღზრდის ეს ახალი კერა ამართლებს თავის დანიშნულებას. ლიცეუმის დირექტორი თამაზ ჭაბუკიანი უნარიანი ხელმძღვანელი გამოდგა. ქუთაისში რომ ფარიკაობის აღორძინების ტრადიციები ამ სასწავლებელშიც გამოიკვეთა, ადრე ვწერდით. ახლა ეს მოსაზრება კიდევ უფრო განამტკიცა თბილისში ამ დღეებში გამართულმა შეჯიბრებამ, რომელსაც მსოფლიო ახალგაზრდული თამაშებისთვის (მოსკოვი) ეროვნული ნაკრების კანდიდატები უნდა დაესახელებინა (აქვე დავძენთ, რომ შეცდომით, თვით რუსულ პრესაშიც კი, მოსკოვში დაგეგმილი ეს ასპარეზობა ბავშვთა ოლიმპიურ თამაშებად მოიხსენიება, რაც არასწორია). ლიცეუმის აღსაზრდელებმა ამ შესარჩევ ტურნირშიც იყოჩაღეს: რაპირაში გოგონებს შორის უძლიერესი იყო ნათია ჩინჩალაძე (შეგახსენებთ, რომ იგი წლევანდელ საქართველოს პირველობაში მეორე ადგილზე გავიდა); დაშნაში, ისევე, როგორც საქართველოს პირველობაში, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ანა აბრამიშვილი ავიდა, ამავე პროგრამაში III იყო ხათუნა ფერაძე; დაშნაში (ჭაბუკები) გიგა ლომთათიძესაც III ადგილი ხვდა. ლიცეუმელთა მსგავსად ყველაზე მეტნი საუკეთესო სამეულში მათივე თანაქალაქელები („მართვე“) მოხვდნენ. კერძოდ, რაპირაში ჭაბუკთა შორის გაიმარჯვა აკაკი ჯიქიამ, დაშნაში — ოთარ ზანგორაშვილმა, ხმალში — კოტე ლორთქიფანიძემ, აქ გოგონებში ქეთინო რიყამაძე II იყო, ასევე II ადგილი ხვდა ლიკა გვანცელაძეს, III ადგილზე კი ხათუნა ზიბზიბაძე გავიდა (ორივე — რაპირა); ორ-ორი საპრიზო ადგილი მოიპოვეს აჭარის და თბილისის მოფარიკავეებმა — ბათუმელებს ირაკლი ჯულიძეს და იური დუბოვოის შესაბამისად II და III ადგილები ერგოთ. (ორივე — რაპირა), III იყო ვეფხვია ჯიქია (ხმალი), თბილისელებიდან კი ვაჟა ბუჯირიშვილი II იყო (დაშნა), ირაკლი — III, (ხმალი).

მიხეილ წუწუნავა

## SOS იქურდეთ, ვიდრე დროა!

ქურდობა და მამაძაღლობა რომ საქართველოში ბოლო წლებში წესად იქცა, ახალი ამბავი არ არის. მაგრამ ახალი ის არის, რომ ეს მავნე ტრადიცია სპორტულ გუნდებშიც მკვიდრდება. განგაშს არავინ ტეხდა, თორემ ვარჯიშზე, განსაკუთრებით კი სპორტულ შეჯიბრებებზე, რა არ დაკარგულა – პიჟამო, ბოტასები, ფეხსაცმელები, ფული, ცალკეული ნივთები... ახლა, ადრე უფრო ცხენოსნებში გავრცელებული ხელმრუდობა (უნაგირის, მათრახის, ჩექმების, ქუდის აწაპვნა და თქვენ წარმოიდგინეთ, ცხენიც კი მოუპარავთ), უკვე სპორტის არაერთ სახეობაში უშლის ნერვებს სპორტსმენებს და მწვრთნელებს. აგერ სულ ახლახანს, თბილისში, მოფარიკავეთა შესარჩევ ტურნირში ელექტროფიქსატორი „აორთქლდა“, უფრო სწორედ, ახალი და ვარგისი ვიღაცამ ძველით და უვარგისით შეცვალა. ის იყო „გამოძიებას“ შეუდგნენ, რომ შეჯიბრების ორგანიზატორებს ახალი კრიმინალი აუწყეს – საფარიკაო იარაღიც (ხმალი) მოუპარია ვიღაც შეჩენილს, შეწუხდა ხალხი, ხომ გაგიგონიათ, მომპარავმა ერთი ცოდვა ჩაიდინა – დამბრალებელმა ათიო. ჰოდა, ხელი აშკარად ვერავის დაადეს, თუმცა, ყველამ იცის ქურდი ცხრა მთას და ცხრა ზღვას ნამდვილად არ გადმოლახავდა ჩვენი გასაცოდავებული სპორტსმენების გასაცოდავებული ინვენტარის ხელში ჩასაგდებად.

სჯობს, ქურდები ისევ ჩვენს შორის მოვიკითხოთ!

მიხეილ წულუკიძე

## ათლეტიზმი საქართველოს რიგგარეშე ჩემპიონატი

# საიუბილეო...

ეს ჩემპიონატი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის 80 წლისთავს მიეძღვნა და ასპარეზობაც მის კედლებში გაიმართა. (მთავარი მსაჯი თორღვა მაგრაქველიძე). პროგრამაში იყო მხოლოდ ძალისმიერი სამჭიდი, უძლიერესთა შორის მოხვედრისთვის კი 50-მდე ათლეტი იბრძოდა ქვეყნის რამდენიმე უმაღლესი სასწავლებლიდან. იუბილარმა უნივერსიტეტმა თავად ორი ნაკრები გამოიყვანა და ჩემპიონების უმეტესობაც მათი რიგებიდან გამოვლინდა. კერძოდ, პირველი გუნდიდან უძლიერესები იყვნენ ივანე ამონაშვილი (52 კგ.), ალეკო დალაქიშვილი (67,5), გიორგი მინდიაშვილი (90), სოსო ხარაბაძე (100), ბაკურ უტიაშვილი (110), თსუ-ს მეორე გუნდიდან ჩემპიონები გახდნენ მამუკა შენგელია (56), არჩილ გურაშვილი (60), შოთა ბექაშვილი (125); ორი ათლეტი ჩემპიონთა შორის თბილისის პედაგოგიური უნივერსიტეტიდანაა — მიხეილ მანუკიანი (75), ზურაბ სანამაშვილი (82,5), ერთიც აგრარული უნივერსიტეტიდან — გიორგი გიგაური (+125).

***გუნდური პირველობა:*** 1. თსუ-1, 2. პედაგოგიური უნივერსიტეტი, 3. თსუ-2 (სიღნაღის ფილიალი).

### ქართული სპორტის პრობლემები ქართულ პრესაში

# მხოლოდ ფრაზები

„... პროფესიონალურ სპორტში სახელმწიფოს ჩარევა საბჭოური აზროვნების გადმონაშთია“...

„დღეს ჩვენში ტყუილად ჰგონიათ, რომ სტადიონებს სახელმწიფო ააშენებს. ეს აღარ იქნება. შეიძლება ერთი-ორი წელი ნაკრებზე იზრუნოს, ეს არის და ეს“.

ნიკო ლეკიშვილი,
(„ალია“, № 75)

●

დინამოს სტადიონთან დაკავშირებით: „ყველას იქ უნდა თამაში, პარლამენტს, შსს-ს, უშიშროებას და სხვებს, არ გამიკვირდება მოედანზე მალე ცხენები რომ გაიყვანონ“.

ვლადიმერ ბუცაევი,
(„დრონი“, № 45).

●

„ვფიქრობ, საჭიროა, ჩვენც გავამკაცროთ კანონები, რათა ვერც მსაჯმა გაბედოს წესის დარღვევა, ვერც მოთამაშემ“

ვლადიმერ უზრეხელიძე,
— საქართველოს კალათბურთის სადისციპლინო კომისიის წევრი,
(„ივერია ექსპრესი“, № 31).

## შოტოკან კარატე-დო ● საქართველოს ჩემპიონატი

# ზეიმის შემდეგ დაფუძნდა

გორში გამართულმა ამ ასპარეზობამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია, შეჯიბრების სანიმუშო ორგანიზაციამ კი იგი ნამდვილ ზეიმად აქცია. სარბიელზე გამოვიდნენ იუნიორები და კადეტები.

— ძირითადი ამოცანა იყო რეგიონში კარატეს პოპულარიზაცია და რჩეულთაგან ეროვნული ნაკრების დაკომპლექტება, რომელიც, მაისში, აღმოსავლეთ ევროპის ჩემპიონატში იასპარეზებს როსტოვში, — თქვა სპორტის ამ სახეობის ფედერაციის პრეზიდენტმა კახა ბასილიამ. მანვე ასპარეზობის მაღალ დონეზე ჩატარებაში ყოველმხრივი ხელშეწყობისათვის მადლობა გადაუხადა საქართველოს მოქალაქეთა კავშირს, შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციას, გორის მერს დავით ქობლიანიძეს, შიდა ქართლის სპორტის სამხარეო სამმართველოს უფროსს ვახტანგ ჯვარიძეს, სპორტსკოლის დირექტორს მურად ჯავახიშვილს, შინაგან საქმეთა რეგიონალური სამმართველოს უფროსს ნოდარ დალაქიშვილს, პრივატიზაციის სამმართველოს უფროსს გურამ ნოზაძეს, „საქენერგოს“ გორის განყოფილების უფროსს გოჩა აბალაკს. კარატესადმი საერთო დაინტერესების სწორედ ასეთი საზეიმო და ამაღლებული ვითარების ფონზე, ჩემპიონატის შემდეგ, როგორც იტყვიან, ცხელ კვალზე, დაფუძნდა გორის კარატე-დოს ფედერაცია, რომლის საპატიო პრეზიდენტად ვახტანგ ჯვარიძე აირჩიეს, პრეზიდენტი გახდა ვეფხვია ხუციშვილი, შეფ-ინსტრუქტორი — რამაზ სახვაძე.

### კვარცხლბეკი:

***11-12 წლისანები:*** 1. გურამ ზაქარეიშვილი, 2. შალვა შერმაზანაშვილი (ორივე — თბილისი). 3. ვანო მურადაშვილი (გორი) და ჯუმბერ ჯოჯუა (თბილისი).

***13-14 წლისანები:*** 1. ზაქრო გაბეცაძე (გორი), 2. დავით აბრამიშვილი, 3. შალვა იაშვილი და თორნიკე ხუციშვილი (სამივე — თბილისი).

***15-16 წლისანები:*** 1. გიორგი გოლოშვილი, 2. გარსევან ადამიანი (ორივე — გორი), 3. იონა ხუციშვილი და გიორგი ლოცულაშვილი (ორივე — თბილისი).

***17-18 წლისანები:*** 1. დათო ქვანია, 2. გელა ჯიჭონაია, 3. გიორგი მზარეულიშვილი (სამივე — თბილისი) და ნიკა შარაშენიძე (ქუთაისი).

***19-21 წლისანები:*** 1. ლევან სადალაშვილი (გორი), 2. დათო კაპანაძე, 3. სოსო მგელაძე (ორივე — თბილისი) და გიორგი გაჩეჩილაძე (გორი).

***გუნდური პირველობა. კუმიტე:*** 1. გორი, 2. თბილისი, 3. ქუთაისი. ჩემპიონატმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ სპორტის პროპაგანდის ყველაზე ეფექტური საშუალება არა ლოზუნგები და მოწოდებები, არამედ საერთო ძალისხმევით კარგად ორგანიზებული შეჯიბრებაა.

„ლელო“ კორ.,
გორი



კახა ბასილაია მიესალმება შეჯიბრების მონაწილეებს.



შეჯიბრების მომენტი

## რეპლიკა

# სიბინძურე – კარატეს ტერმინების ფონზე

კარატე, მისი ნებისმიერი სკოლა თუ მიმდინარეობა, როგორც საქართველოში მათი მესვეურები ამტკიცებენ, ფიზიკური აღზრდის გარდა, ხელს უწყობს სულიერ სრულყოფას, სიწმინდეს. სხვათა შორის, ყველა შენიშნავდა, რომ ვარჯიშის თუ შეჯიბრების პროცესში ოსტატები და შეგირდები მკაცრად იცავენ დადგენილ წესებს, რომელიც თავისებური რიტუალია და დისციპლინასთანაა შერწყმული. ეს ალბათ კარგია, მაგრამ რით უნდა აიხსნას ის აგდებული დამოკიდებულება, პირველ ყოვლისა, უპატივცემულობა თვით კარატეს შეჯიბრების წესებისადმი, რასაც ჩვენში, სამწუხაროდ, არაფრად დაგიდევენ?

ამ დღეებში თბილისის განათლების სამმართველოს დიღმის მასივის საჭიდაო კომპლექსმა ნოკდაუნ კიოკუშინ კარატეში საქართველოს ღია ჩემპიონატს უმასპინძლა, ჩემპიონატის ორგანიზატორებმა, მსაჯთა კოლეგიამ და თვით სპორტული კომპლექსის ადმინისტრაციამ თავს უფლება მისცეს საჭიდაო ლეიბზე, რომელიც დიდი ძალისხმევითაა შეძენილი, ორთაბრძოლები არბიტრებს იმავე ფეხსაცმელებით ემსაჯათ, რითაც ისინი ქუჩაში დადიან. ყოველი მსაჯობის შემდეგ, ლეიბის გადასაფარებელზე სიბინძურის გარდა რჩებოდა შავი ლაქები, მაყურებელს კი წარმოდგენას უკარგავდა კარატეს ღირსებაზე.

ასეა, საქართველოში ქედი უნდა მოიდრიკო უცხო ქვეყნის წესების წინაშე, საკუთარი კი არაფრად ჩააგდო. საქართველოში ყველაფერი შეიძლება!!!

## ნორჩი ჩემპიონები



თბილისის 128-ე საშუალო სკოლის II კლასის მოსწავლე ერეკლე პირველი მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეა, სპეციალისტების გაოცებას განსაკუთრებით მისი მათემატიკური რთული და ზეპირი გამოანგარიშებები იწვევს. ერეკლეს მშობლებს შესთავაზეს ბავშვი ჭადრაკსაც დაეუფლოს, მაგრამ ჯერჯერობით მისი მთავარი გატაცება კარატეა. ამ ბიჭუნამ მოიგო რამდენიმე ტურნირი თანატოლებში და უკვე ლურჯი ქამარი დაიმსახურა. ამ დღეებში კი ახალ წარმატებას მიაღწია – ნოკდაუნ კიოკუშინ კარატეში საქართველოს ღია ჩემპიონატში პირველი ადგილი დაიკავა 25 კგ-მდე 7-8-წლიანთა შორის (სურათზე მარჯვნივ). გიორგი გიგანი კი (სურათზე – მარცხნივ) 9-10-წლიანთა ასპარეზობაში გახდა საქართველოს ჩემპიონი.

## კარატე-დო: ახალი ბიულეტენი

გამოვიდა შოტოკან კარატე-დოს საქართველოს ფედერაციის №2 ბიულეტენი. ახალ გამოცემაში ყველაფერი საინტერესოა, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს „გოჩინ ფუნაკოშის 20 პრინციპი კარატეში“ და „ტრადიციული სამურაების მორალის ღირსების კოდექსი“. წარმოდგენილია „კარატე-დო ქუთაისში“, „საქართველოს სტუდენტთა პირველი ღია ჩემპიონატის შედეგები“, მსოფლიოში კარატეს ახალი ტალღის ლიდერის ჰიტოში კასუას წერილი საქართველოზე „ქვეყანა, სადაც ჭიდაობის სპეციალისტები და ჩემპიონები ცხოვრობენ“, ისტორიული მიმოხილვა „ორთაბრძოლების სამყაროში: პანკრატიონი“, სხვა მასალები, რომელიც უთუოდ დააინტერესებს მკითხველს.

გამოსაცემად მზადდება რუსულენოვანი ბიულეტენი დსთ-სა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის.




## სპორტი და სახელმწიფო

# სად რამდენი და ვისგან

***მსოფლიოში ყველგან მიჩნეულია, რომ სპორტი ამა თუ იმ ქვეყნის არა მხოლოდ ავტორიტეტის, არამედ ერის ღირსებების წარმოჩენის უნიკალურ შესაძლებლობას იძლევა და იგი, როგორც სახელმწიფოს, ისე საზოგადოებრივი ორგანიზაციების გამუდმებული ყურადღების ცენტრშია. არც ერთ ქვეყანაში არ დგას სპორტის დაფინანსების საკითხი ისე მწვავედ, როგორც ჩვენში. არადა, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს რაღაც ძალები განგებ ექაჩებიან ქართული სპორტის ტრადიციების უმოძრაობისაკენ და ხელს უწყობენ მის პერმანენტულ კვდომას. ჯერჯერობით ერთადერთი და გარანტირებული დაფინანსება ქართულმა სპორტმა სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა მიიღოს. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ თანხა საჭიროსთან შედარებით მიზერულია, გადაულახავ პრობლემად კუთვნილი ფულის მიღება ქცეულა და ამაზე არაერთხელ აგვიტეხია განგაში ჩვენს გაზეთში. ეს პუბლიკაციაც ამ მიზანს ემსახურება. ჩვენ ვთხოვეთ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სპორტულ ფედერაციებთან ურთიერთობის ხელმძღვანელს თამაზ თევზაძეს შეეკრიბა მასალები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სპორტის დაფინანსებასთან დაკავშირებით, რომლის გამოქვეყნებას დღეიდან ვიწყებთ. ვიწყებთ იმის ღრმა რწმენით, რომ ჩვენთან სპორტის დაფინანსებისადმი პასუხისმგებლობა ბოლოს და ბოლოს სახელმწიფო დონემდე ამაღლდება.***

### ავსტრია

ამ ქვეყნის მოსახლეობა 8 მილიონია. სპორტკლუბებში გაერთიანებულია 3.300 ათასი წევრი. სპორტს ხმარდება 2,5 მილიარდი შილინგი, აქედან 165 მილიონი სამთავრობო დაფინანსებაა, 910 მილიონი გამოიყოფა ადგილობრივი ფონდებიდან, 420 მილიონი — ეროვნული ლატარეადან, 1 მილიარდს იძლევი სპონსორები.

### ბოსნია ჰერცოგოვინა

მოსახლეობა — 4 მილიონი. სპორტს ეძლევა 3,1 მილიონი გერმანული მარკა. მთავრობის წილი აქედან 100 ათასია, სპონსორებისა — 3 მილიონი.

### გერმანია

მოსახლეობა — 81,5 მილიონი. სპორტული კლუბები ითვლის 21.863 ათას წევრს. სპორტის საერთო დაფინანსება შეადგენს 7,9 მილიარდ გერმანულ მარკას. აქედან სახელმწიფო იძლევა 246 მილიონს, ადგილობრივი ფონდები — 5,32 მილიარდს (83 %), ეროვნული ლატარეა — 21 მილიონს, სპონსორები — 1,8 მილიარდს.

### ჩეხეთი

მოსახლეობა 10,5 მილიონი. კლუბებში ირიცხება 1.460 ათასი წევრი. სპორტისთვის ყოველწლიურად გამოიყოფა 2,6 მილიარდი კრონა. აქედან 1 მილიარდი მთავრობისგანაა, 300 მილიონი — ადგილობრივი ფონდებიდანაა, 606 მილიონი — ეროვნული ლატარეადან, 700 მილიონი — სპონსორებიდან.

# საქართველოს თასი

## ნახევარფინალი ● საპასუხო მატჩები



### დილა (გორი) — დინამო (თბილისი) 1-3 (2-1)

*დილა:* გრ. ჭანტურია, ბალაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, ლომიძე, თარხნიშვილი, რევაზიშვილი, შატაკიშვილი (მარუხაშვილი), ციცქიშვილი (კაიდარაშვილი), მარღიშვილი, ხორგუაშვილი, გ. ჩიტაია.
*დინამო:* ზოიძე, ლობჟანიძე, გუჩუა, დიდავა, ცქიტიშვილი, კვრაცხელია (წიტაიშვილი), კიკნაძე, ალექსიძე, აშვეთია (პეტრიაშვილი) მუჯირი, ხომერიკი (ლ. ბურდული)
*გოლები:* 0-1 აშვეთია (56), 0-2 რევაზიშვილი (საკ. კარში), 1-2 კაიდარაშვილი (76), 1-3 ხომერიკი (81)
*გააფრთხილეს:* ლობჟანიძე, ალექსიძე, გუჩუა, ჩიტაია.
*მსაჯი:* ალექსანდრე შილაკაძე (თბილისი)

### უნივერსიტეტი (თბ.) — დინამო (ბთ.) 1-3 (0-1)

*თსუ:* დოლიძე, ვერემჩუკი, კობიაშვილი, კვიტატიანი, კ. მელქაძე, გემეზაშვილი, მაზიაშვილი (შალამბერიძე), როსტიაშვილი, ყოლბაია, ქორიძე, რუსია.
*დინამო:* ტოგონიძე, ი. მახარაძე, მინდაძე, სიჭინავა, შეყილაძე, თორდაშვილი, მ. მახარაძე, ჭიჭვეიშვილი, მაჭუტაძე (ყულეჯიშვილი), კანტიძე (ღლონტი), ზირაქიშვილი (აფხაზავა).
*გოლები:* 0-1 ჭიჭვეიშვილი (20), 1-1 რუსია (52), 1-2 სიჭინავა (77), 1-3 ყულეჯიშვილი (90)
*მსაჯი:* სერგო კვარაცხელია (ზუგდიდი)

საქართველოს თასის ფინალში, რომელიც, ჩვეულებრივ 26 მაისს გაიმართება, ტრადიციულ ორთაბრძოლას ვიხილავთ. დიახ, თბილისისა და ბათუმის თანაკლუბელები უკვე მეხუთედ შეერკინებიან ერთმანეთს გადამწყვეტ მატჩში.

ობიექტურნი რომ ვიყოთ, ნახევარფინალის პირველი მატჩების შედეგებიდან გამომდინარე, ბათუმელთა წარმატებას ველოდით, აი, გორში კი რა მოხდებოდა, ძნელად თუ ინინასწარმეტყველებდა კაცი. ასეც იყო.

იმის თქმა არ გვინდა, რომ მცხეთაში სტუდენტთა გუნდი წინასწარვე წასაგებად განწირული გამოვიდა მინდორზე. მატჩის დებიუტში თსუ-მ რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნა ტოგონიძის კართან, მაგრამ უშედეგოდ. ბათუმელებმა შანსი ხელიდან არ გაუშვეს და შეხვედრის ბედი, ფაქტობრივად, პირველ ოც წუთში გადაწყვიტეს, როცა კანტიძემ მეტოქის კარის შორეულ კუთხისაკენ ჩაჰკიდა ბურთი, ყველაზე ადრე ჭიჭვეიშვილი მისწვდა და ლამაზი თავური დარტყმით მეკარე დოლიძე სახტად დატოვა. ამის შემდეგ თამაშმა ინტერესი დაკარგა – ცხადი იყო, რომ მასპინძლები ფინალში გასასვლელი სამი ბურთის გამტანნი არ იყვნენ. მართალია სტუდენტებმა მეორე ტაიმში ანგარიში გაათანაბრეს, მაგრამ მეტი ვერ შეძლეს. პირიქით, შეტევებში გართულებმა ორი გოლიც გაუშვეს.

გაცილებით საინტერესო ამბები გორში, იქაური ხალხით გაჭედილ სტადიონზე, მოხდა. ბევრს ეგონა, და ალბათ „დილას" თავკაცებმაც ასე იფიქრეს, პირველმატჩწაგებული სტუმრები თავიდანვე აქტიურად შეუტევდნენ გრიგოლ ჭანტურიას კარს. ამით გორელ თავმდამსხმელებს სწრაფი კონტრშეტევებისთვის ხელ-ფეხი გაეხსნებოდათ. დინამოელთა მწვრთნელმა ერთდროულად ორი სიურპრიზი შესთავაზა მეტოქეს: ძირითად შემადგენლობაში კვლავ ვიხილეთ გუნდის „ღერძი" – გიორგი კიკნაძე (შეიძლება ვცდებით, მაგრამ გვგონია დინამოელთა შტაბმა შეგნებულად გაავრცელა ხმები, რომ კიკნაძემ გუნდი დატოვაო) და, რაც მთავარია, სტუმართა სათამაშო ტაქტიკა აგებული იყო „დაცვაზე" – თითქოს პირველი მატჩი მოგებული ჰქონდათ; ნახევარმცველი კვარაცხელია, ფაქტობრივად, მესამე ცენტრალურ მცველად მოგვევლინა.

პირველი ტაიმი რომ მიიწურა და ტაბლოზე 0-0 კიაფობდა, ბევრმა მიიჩნია, რომ ფინალისტი უკვე გარკვეული იყო, აკი აღმოსავლეთ ტრიბუნაზე მსხდომმა ექსპანსიურმა გორელმა გულშემატკივრებმა გამარჯვების სიმღერაც შემოსძახეს.

შესვენების შემდეგ მინდორზე სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა. ნახევარმცველ კვარაცხელიას ნაცვლად მესამე ფორვარდად, ხომერიკსა და აშვეთიას წიტაიშვილი შეცვალა. ამასთან, მარცხენა მცველმა გუჩუამ ნახევარდაცვაში გადაინაცვლა. აი, მაშინ გენახათ გორელთა დაბნეულობა! სანამ „დილას" მცველები გადაწყობას მოასწრებდნენ, წიტაიშვილმა მარჯვენა ფლანგიდან რამდენიმე ხიფათიანი გარღვევა განახორციელა, რის შედეგადაც თბილისელებმა სამჯერ აიღეს მეტოქის კარი. ამას ისიც დაემატა, რომ „დილას" ფეხბურთელები გაცილებით ჩამორჩებოდნენ სტუმრებს ფიზიკურ მომზადებაში და ბოლო წუთებში აშკარად „არაქათგაცლილად" გამოიყურებოდნენ.

და მაინც, გორელებს შეეძლოთ მატჩის ხსნა: როდესაც 1-2 აგებდნენ, კაიდარაშვილმა მინდვრის ცენტრში ბურთი აართვა გუჩუას, ხორგუაშვილთან გაითამაშა და ზოიძესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ დარტყმა ააცილა მიზანს. შემდეგ „დილამ", ფაქტობრივად, ფარ-ხმალი დაყარა (არადა, გვწამს, ქართლელთა გუნდი მომავლის კოლექტივია, უფრო მეტი ხელშეწყობა რომ ჰქონდეს, თავისუფლად შეუძლია ბრძოლა ევროტურნირის საგზურისთვის). ფეხბურთელთა პესიმიზმი ტრიბუნებსაც გადაედო. ერთ მომენტში, როდესაც ყველაფერი უკვე გარკვეული იყო, გუჩუამ ზუსტად „ჯუნგლების" ცხვირწინ უხეშად „მოცელა" ერთ-ერთი მეტოქე. ყველას ეგონა მსაჯი საკადრისად დასჯიდა წესების დამრღვევს, მაგრამ ფეხბურთელებით გარსშემორტყმულმა არბიტრმა საეჭვოდ დააყოვნა. აბა, გალიზიანებულ გულშემატკივარს ეს უნდოდა? მინდორზე ქვებისა და სხვადასხვა საგნის ნიაღვარი წამოვიდა, რის გამოც მატჩი 4-5 წუთით შეწყდა. როდესაც შესაძლებელი გახდა თამაშის გაგრძელება, შილაკაძემ გუჩუას ყვითელი ბარათი უჩვენა. პრეს-ლოჟაში ჟურნალისტებს ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა, მსაჯს რომ იმთავითვე გამოეტანა გუჩუასთვის სასჯელი, მაყურებელიც არ გაღიზიანდებოდა.

მატჩის შემდეგ ამ ეპიზოდის განმარტებისათვის მივმართეთ ალექსანდრე შილაკაძეს და ფედერაციის დელეგატს თემურ ფანიაშვილს. ***ალექსანდრე შილაკაძე:*** „როდესაც ფეხბურთელისთვის სასჯელი გამოგვაქვს, იგი ცალკე, სხვა მოთამაშეებისაგან უნდა გამოარჩიო. ამიტომ დავაყოვნე და ვცდილობდი გუჩუა ცალკე გამომეხმო, რათა მისთვის ყვითელი ბარათი მეჩვენებინა. სამწუხაროდ, ამის გაკეთება იმთავითვე ვერ შევძელი, ვინაიდან მინდორზე ქვები და სხვადასხვა საგანი ისროლეს". ***თემურ ფანიაშვილი:*** „არბიტრის მოქმედება ამ მომენტში და, საერთოდ, ამ მატჩში იყო სწორი... მთლიანობაში მსაჯთა ბრიგადამ თავისი მოვალეობები კარგად შეასრულა."

მაშ ასე, წინ ფინალია. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მეტად საინტერესო ორთაბრძოლას ვიხილავთ.

**ჯემალ ჭიპაშვილი,**
„ლელოს" სპეც. კორ.

## «ლელოს» საფეხბურთო ანონსი ● მაისი

**საქართველოს მეცხრე ეროვნული ჩემპიონატი**

### მეორე წრე

#### პირველი ჯგუფი

***XXVI ტური, 2.05, შაბათი***
მორკინალი — გურია

***3.05, კვირა***
სამგურალი — ლოკომოტივი
რუსთავი — ოდიში
ტორპედო — დინამო (ბთ.)
მარგვეთი — თსუ
დილა — სიონი
დინამო (თბ.) — მაღაროელი

***4.05, ორშაბათი***
მერანი-91 — კოლხ.-1913

***XXVII ტური, 7.05, ხუთშ.***
გურია — სამგურალი
დინამო (ბთ.) — ოდიში
მაღაროელი — დილა
ლოკომოტივი — დინამო (თბ.)
სიონი — მარგვეთი

***8.05, პარასკევი***
კოლხეთი-1913 — ტორპედო
თსუ — მერანი-91
მორკინალი — რუსთავი

***XXVIII ტური, 12.05, სამშ.***
ტორპედო — თსუ
სამგურალი — მორკინალი
რუსთავი — დინამო (ბთ.)
ოდიში — კოლხეთი-1913
მერანი-91 — სიონი
მარგვეთი — მაღაროელი
დილა — ლოკომოტივი
დინამო (თბ.) — გურია

***გამოტოვებული მატჩები, 15.05, პარასკევი***
ოდიში — დინამო (თბ.)
მაღაროელი — რუსთავი

***XXIX ტური, 18.05, ორშ.***
მაღაროელი — მერანი-91
ლოკომოტივი — მარგვეთი
სამგურალი — რუსთავი
მორკინალი — დინამო (თბ.)
გურია — დილა
სიონი — ტორპედო
თსუ — ოდიში
კოლხეთი-1913 — დინამო (ბთ.)

***XXX ტური, 22.05, პარასკევი***
მერანი-91 — ლოკომოტივი
დინამო (ბთ.) — თსუ
რუსთავი — კოლხეთი-1913
ოდიში — სიონი
ტორპედო — მაღაროელი
მარგვეთი — გურია
დილა — მორკინალი
დინამო (თბ.) — სამგურალი

***26.05, სამშაბათი***
**საქართველოს თასის ფინალი**
დინამო (თბ.) — დინამო (ბთ.)

#### მეორე ჯგუფი

***XXVI ტური, 1.05, პარასკევი***
სამეგრელო — ასკ
ცხინვალი — შსს აკადემია
მერცხალი — სქური
ივერია — საპოვნელა
იბერია (ს.) — თორი
მეშახტე — კოლხეთი
იმერეთი — იბერია (ქ.)
კოდაკო — ფაზისი

***XXVII ტური, 5.05, სამშ.***
იმერეთი — სამეგრელო
იბერია (ქ.) — კოდაკო
ფაზისი — იბერია (ს.)
თორი — ივერია
საპოვნელა — მეშახტე
კოლხეთი — ცხინვალი
შსს აკადემია — მერცხალი
სქური — ასკ

***XXVIII ტური, 9.05, შაბათი***
სამეგრელო — სქური
ასკ — შსს აკადემია
მერცხალი — კოლხეთი
ცხინვალი — საპოვნელა
მეშახტე — თორი
ივერია — ფაზისი
იბერია (ს.) — იბერია (ქ.)
კოდაკო — იმერეთი

***XXIX ტური, 17.05, კვირა***
კოდაკო — სამეგრელო
იმერეთი — იბერია (ს.)
იბერია (ქ.) — ივერია
ფაზისი — მეშახტე
თორი — ცხინვალი
შსს აკადემია — სქური
საპოვნელა — მერცხალი
კოლხეთი — ასკ

***XXX ტური, 23.05, შაბათი***
სამეგრელო — შსს აკადემია
სქური — კოლხეთი
ასკ — საპოვნელა
მერცხალი — თორი
ცხინვალი — ფაზისი
მეშახტე — იბერია (ქ.)
ივერია — იმერეთი
იბერია (ს.) — კოდაკო

#### მესამე ჯგუფი

**დასავლეთი ზონა**

***XVII ტური, 4.05, ორშ.***
სულორი — ენგური
შუქურა — ოქროს საწმისი
ტორპედო-2 — სალხინო
ოდიში-2 — ეგრისი
სამგურალი-2 — დინამო-2

***XVIII ტური, 11.05, ორშ.***
დინამო-2 — ოდიში-2
ეგრისი — ტორპედო-2
სალხინო — შუქურა
ოქროს საწმისი — სულორი
ენგური — დინამო გ.

***XIX ტური, 15.05, პარასკევი***
დინამო გ. — ოქროს საწმისი
სულორი — სალხინო
შუქურა — ეგრისი
ტორპედო-2 — დინამო-2
ოდიში-2 — სამგურალი-2

***XX ტური, 19.05, სამშაბათი***
სამგურალი-2 — ტორპედო-2
დინამო-2 — შუქურა
ეგრისი — სულორი
სალხინო — დინამო გ.
ოქროს საწმისი — ენგური

***XXI ტური, 24.05, კვირა***
სულორი — დინამო-2
ენგური — სალხინო
დინამო გ. — ეგრისი
ტორპედო-2 — ოდიში-2
შუქურა — სამგურალი-2

***XXII ტური, 31.05, კვირა***
ოდიში-2 — შუქურა
სამგურალი-2 — სულორი
დინამო-2 — დინამო გ.
ეგრისი — ენგური
სალხინო — ოქროს საწმისი

**აღმოსავლეთი ზონა**

***XV ტური, 3.05, კვირა***
იბერია — ალგეთი

***4.05, ორშაბათი***
ხალიბი-97 — თელეთი
შირაქი — ყვარელი
სამგორი — ალაზანი

***XVI ტური, 11.05, ორშაბათი***
ალაზანი — შირაქი
ყვარელი — ხალიბი-97
თელეთი — იბერია
ალგეთი — ჭაბუკიანი

***XVII ტური, 19.05, სამშ.***
ჭაბუკიანი — თელეთი
ხალიბი-97 — ალაზანი
შირაქი — სამგურალი

***20.05, ოთხშაბათი***
იბერია — ყვარელი

***XVIII ტური, 24.05, კვირა***
სამგორი — ხალიბი-97
ჭაბუკიანი — ყვარელი
თელეთი — ალგეთი
ალაზანი — იბერია

**ცენტრალური ზონა**

***XV ტური, ორშაბათი***
დილა-2 — ვარძია
მრეტები — თსუ-არმაზი
ბაია-ქასქი-ჯიქები — დინამო-2
ქინერი — მესხეთი
ლოკომოტივი-2 — 35-სტუ

***XVI ტური, 10.05, კვირა***
35-სტუ — დილა-2

***11.05, ორშაბათი***
ვარძია — ქინერი
მრეტები — დინამო-2
თსუ-არმაზი — ლოკომოტივი-2
მესხეთი — ბაია-ქასქი-ჯიქები

***XVII ტური, 19.05, სამშ.***
დილა-2 — თსუ-არმაზი
ლოკომოტივი-2 — დინამო-2
ბაია-ქასქი-ჯიქები — ქინერი
მრეტები — მესხეთი

***20.05, ოთხშაბათი***
35-სტუ — ვარძია

***XVIII ტური, 24.05, კვირა***
ქინერი — მრეტები
დინამო-2 — დილა-2
ვარძია — ბაია-ქასქი-ჯიქები
მესხეთი — ლოკომოტივი-2
თსუ-არმაზი — 35-სტუ

*შენიშვნა: მატჩების დასაწყისი — 17 სთ.*

**ამხანაგური საერთაშორისო მატჩები**

***2.05, შაბათი***
ტუნისი — საქართველო

***30.05, შაბათი***
საქართველო — რუსეთი

**ევროპის საკლუბო ტურნირების ფინალური მატჩები**

**უეფას თასი**
***6.05, ოთხშაბათი***
ინტერი (იტალია) — ლაციო (იტალია)

**თასების თასი**
***13.05, ოთხშაბათი***
შტუტგარტი (გერმანია) — ჩელსი (ინგლისი)

**ჩემპიონთა ლიგა**
***20.05, ოთხშაბათი***
იუვენტუსი (იტალია) — რეალი (ესპანეთი)

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები



მორიენტესი

### ფერნანდო გაჯიუტდა

მადრიდის „რეალის" ფორვარდის ფერნანდო მორიენტესის გადაბირებით ერთობ მოწადინებულია იტალიური „რომა". აპენინელები მზად იყვნენ 23,1 მილიონი დოლარი ჩაეთვალათ მადრიდელებისთვის ამ ახალგაზრდა თავდამსხმელში, მაგრამ თვით ფერნანდომ კატეგორიული უარი განუცხადა რომაელებს. ესპანელი მიმომხილველების აზრით, მორიენტესს, რომელიც 10 გატანილი გოლით „რეალის" საუკეთესო (ეროვნული ჩემპიონატის) ბომბარდირია და შესაძლოა საფრანგეთი-98-ზე ეროვნული ნაკრების მაისურიც მოირგოს, სულაც არ ეპიტნავება „რომა", რადგან ამ იტალიურ კლუბს „რეალისგან" განსხვავებით ერთობ მოკრძალებული ამბიციები აქვს. ისე კი, მადრიდული კლუბი იტალიელების წინადადებამ ძალიან დააინტერესა – მათ ხომ მორიენტესი სულ რაღაც 6,6 მილიონ დოლარად შეიძინეს შარშან „ვალიადოლიდისაგან".

### ბოკშიჩი კლუბის გამოცვლას აპირებს

იტალიური გაზეთების ცნობით, ხორვატიის ნაკრებისა და რომის „ლაციოს" ფორვარდი ***ალენ ბოკშიჩი*** მომავალი საფეხბურთო სეზონიდან „მილანში" ითამაშებს. გუნდის გამოცვლა ფეხბურთელმა მას შემდეგ გადაწყვიტა, როდესაც „ლაციოში" ჩაირიცხა ჩილელი თავდამსხმელი მარსელო სალასი. გარდა ამისა, რომაული კლუბი ამჟამად ცდილობს გადმოიბიროს სხვა მოთამაშეებიც – „ცრვენა ზვეზდასა" და იუგოსლავიის ნაკრების თავდამსხმელი დეიან სტანკოვიჩი და „სამპდორიას" შემტევი ნახევარმცველი სინიცა მიხაილოვიჩი. ამრიგად, ბოკშიჩს გაისად დიდი ძალისხმევა დასჭირდებოდა, რათა ადგილი შეენარჩუნებინა „ლაციოს" ძირითად შემადგენლობაში. სწორედ ამიტომ ალენმა მოიწადინა კლუბის შეცვლა.



ალენ ბოკშიჩი

## მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიიდან

# ბრაზილიელები

## დიდი ტრიუმფი

მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატის დაწყებამდე ფეხბურთის სამყაროში არაერთი საყურადღებო რამ მოხდა. გარდაიცვალა 1921-54 წლების ფიფას პრეზიდენტი ჟიულ რიმე. მან თავისი რწმუნებები ჯერ ბელგიელ სეელდრეიერს გადასცა, 1956 წლიდან კი ფიფას პრეზიდენტად ინგლისელი არტურ დრიური აირჩიეს. სწორედ მისი მოთხოვნით მიიღო ფიფამ დადგენილება, რომ დიდი ბრიტანეთის ოთხი ნაკრები ოთხ სხვადასხვა ევროპულ შესარჩევ ჯგუფში გაენაწილებინათ: ვინ იცის, შეიძლება ფინალში ოთხივე მოხვედრილიყო. შვედები, როგორც შეჯიბრების ორგანიზატორები და გფრ-ის ნაკრები, როგორც მსოფლიო ჩემპიონი, ცხადია, პირდაპირ ფინალში დაუშვეს, დანარჩენი 14 ადგილი კი ასე გაანაწილეს: 9 — ევროპას, 3 — სამხრეთ ამერიკას, 1 — ცენტრალურ და ჩრდილოეთ ამერიკას, 1 — აფრიკასა და აზიას. დღეისათვის ადგილების ასეთი განაწილება, გასაგებია, უსამართლოდ ჩაითვლება, მაშინ კი სხვა დრო იყო, „მესამე ძალა“ ფეხბურთში ჯერ კიდევ თვლემდა.

შესარჩევ მატჩებში დიდი მოულოდნელობები მოხდა: ვინ იფიქრებდა, რომ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი — ურუგვაის ნაკრები პარაგვაელებთან დამარცხდებოდა და ფინალში ვერ გავიდოდა, არგენტინელებმა ძლივძლივობით დაძლიეს ბოლივიელთა და ჩილელთა წინააღმდეგობა, ევროპელთაგან ფიასკო განიცადეს იტალიელებმა და ესპანელებმა.

ბრაზილიელებს გაუჭირდათ პერუელებთან, მაგრამ დაძლიეს ეს წინააღმდეგობა. მათს ახალ მწვრთნელს ვისენტე ფეოლას შვეციაში ის ვეტერანებიც მიჰყავდა, რომლებიც 4 წლის წინათ შვეიცარიაში თამაშობდნენ, და რამდენიმე ახალგაზრდაც, რომელთა სახელები ევროპელებს არაფერს ეუბნებოდა.

რა იცოდა ვისენტე ფეოლამ ძირითადი მეტოქეების შესახებ? მსოფლიო ჩემპიონების განთქმულმა მწვრთნელმა, „ბებერ მელად“ წოდებულმა ზეპ ჰერბერგერმა გადაახალისა შემადგენლობა და ვეტერანებთან — ფრიც ვალტერთან, რანთან, შეფერსა და ეკელთან ერთად გუნდში შეიყვანა ორი მომავალი ვარსკვლავი — შნელინგერი და ზეელერი. დიდი ცვლილებები მოხდა უნგრელებთან, რომელთაც უკვე აღარ ჰყავდათ „დიდი გუნდი“. უნგრეთი დატოვეს დიდებულმა ოსტატებმა, პუშკაშმა, კოჩიშმა და ციბორმა. და მაინც ლაიოშ ბაროტის განკარგულებაში იყვნენ გროშიჩი და ბოჟიკი, შანდორი და ჰიდეგკუტი. მათ დაემატნენ ახალგაზრდები: შიპოში, შაროში, მატრაი, ფენვეში და ტიხი. ერთი სიტყვით, მსოფლიოს 1958 წლის ჩემპიონატი შვეციაში ყველასათვის ურთულესი შეჯიბრება იქნებოდა.

ბრაზილიელები შვეციაში მეოთხე წინასწარ ჯგუფში მოხვდნენ ავსტრიის, ინგლისისა და საბჭოთა კავშირის ნაკრებებთან ერთად. როცა ნაკრების საბრძოლო შემადგენლობას აყალიბებდა, ვისენტე ფეოლას დიდის (ვალდირ პერეირას) დიდი იმედი ჰქონდა. ამ დროისათვის დიდი 30 წლისა იყო, მეტად გამოცდილი ფეხბურთელი. მან ხომ წინა მსოფლიო ჩემპიონატშიც მიიღო მონაწილეობა და ორი გოლი გაიტანა. ფეოლა დარწმუნებული იყო, რომ არ მოიძებნებოდა დიდის დარი დირიჟორი, მას ხომ იმ დროისათვის მეტად იშვიათ მეტსახელს, „კომპიუტერს“ უწოდებდნენ. საყურადღებოა, რომ მეორე გამოცდილ ფეხბურთელ ზაგალოს, დღეს რომ „ლობოს“ (მგელს) უწოდებენ, მაშინ იშვიათი შრომისმოყვარეობის გამო „ჭიანჭველა“ ერქვა. ვინ არ იცნობდა განთქმულ მცველებს, ჯალმა და ნილტონ სანტოსებს, ზოგის დრო კი ჯერ არ დამდგარიყო...

შვეციაში ბრაზილიელებმა პირველად გამოიყენეს სქემა: 4-2-4, ფეხბურთის სამყაროში ნამდვილი გადატრიალება რომ მოახდინა.

პირველ თამაშებს 17 წლის პელე, რომელსაც ზოგი „გუნდის თილისმას“ ეძახდა, ზოგი კი „მწვრთნელის შვილს“, სათადარიგოთა სკამიდან ადევნებდა თვალს და თითქოს მატჩებში მონაწილეობაზე სერიოზული პრეტენზია არა ჰქონდა. სამაგიეროდ, ძალიან ღელავდა უკვე საკმაოდ გამოცდილი გარინჩა, რომელსაც ფეოლა ძლივს აჩერებდა... რა გვიჩვენა პირველმა მატჩებმა? ავსტრიელები იოლად დაამარცხეს — 3-0, სადაც ორი გოლი გაიტანა ცენტრფორვარდმა მაცოლამ (რომელიც შემდგომ იტალიაში უფრო ჟოზე ალტაფინის სახელით იყო ცნობილი), ერთი კი ინდივიდუალური გარღვევის შედეგად მცველმა ნილტონ სანტოსმა. სამაგიეროდ, მეორე მატჩში



ბრაზილია – საფრანგეთი 5-2. ამ ნახევარფინალურ მატჩში, 17 წლის პელემ ჰეთ-თრიკი შეასრულა – გაიტანა სამი გოლი! სურათზე: პელესა და ფრანგთა მეკარის აბესის ორთაბრძოლა მესამედაც ბრაზილიელის გამარჯვებით დამთავრდა; უკანა პლანზე – ფრანგი ჟონკე.

ფოტო „ლელოს“ არქივიდან.

ინგლისელებთან ჟოელმა, დიდიმ, ვავამ, ზაგალომ და მაცოლამ ვერ გამოიყენეს ხელსაყრელი მომენტები — 0-0. ფრიად გამოცდილი მწვრთნელი ვისენტე ფეოლა მიხვდა, რომ ნაკრებში ცვლილებების მოხდენა იყო საჭირო. პირველი ცვლილება თითქოს არავის აეჰყვებდა: გარინჩამ კატეგორიულად მოითხოვა, თუკი არ ათამაშებდნენ, დაუყოვნებლივ ბრაზილიაში გაემგზავრებოდა. გადაწყდა მაცოლას ნაცვლად, რომელიც ინგლისელებთან ვერაფერს გახდა, პელე გამოეყვანათ.

მესამე მატჩი საბჭოთა ფეხბურთელებთან, მრავალჯერ აღწერილია დაწვრილებით და მის დეტალებზე აღარ შევჩერდებით. ვიტყვით მხოლოდ, რომ გენიალურმა დრიბლიორმა გარინჩამ საბჭოთა ნაკრების დაცვაში სრული, არევდარევა შეიტანა: „მანეს“ თამაშზე შემდეგ ალტაცებით გვიამბობდა ჩვენი დიდებული ბორის პაიჭაძე, გარინჩა ისეთი გზნებით, ალმავლობით, ალმაფრენით მოქმედებდა, რომ მასთან ბორის კუზნეცოვი კი არა, გაცილებით უფრო ძლიერი მცველიც ვერაფერს გახდებოდა. ხომ შესანიშნავად თამაშობდა მეკარე იაშინი, მაგრამ გარინჩას გადაცემების შედეგად ცენტრფორვარდმა ვავამ ორი გოლი გაიტანა და ბრაზილიელები მეოთხედფინალში გავიდნენ.

მომდევნო მატჩში ბრაზილიელები ჩელსელებს ხვდებოდნენ და მეტად შეუპოვარ წინააღმდეგობასაც ელოდნენ. ფრთხილი ფეოლა ჩააფიქრა ინგლისელებთან შეხვედრამ, როცა მისმა მოთამაშეებმა პრესინგს თავი ვერ დააღწიეს. მწვრთნელი ელოდა, რომ უელსელებიც იგივე ტაქტიკას დაადგებოდნენ. მართალია, ბრიტანელებს ამ დღეს თავიანთი ვარსკვლავი, დაშავებული ჯონ ჩარლზი აკლდათ, რომელიც ძმამ — მელ ჩარლზმა შეცვალა. ბრძოლა მართლაც მეტად შეუპოვარი გამოდგა. მისი ბედი გადაწყვიტა ნორჩი პელეს მიერ გატანილმა ერთადერთმა გოლმა. დიდის დიდებული გადაცემის შემდეგ პელემ მიიღო ბურთი, აუარა გვერდი მცველებს და ჩინებული დარტყმით გაიტანა გოლი კელსის კარში.

ამრიგად, ბრაზილიელები გავიდნენ ნახევარფინალში, სადაც მონაწილეობის უფლება სამმა ევროპულმა ნაკრებმა: საფრანგეთის, შვეციისა და გფრ-ის გუნდებმაც მოიპოვეს. ბრაზილიელებმა სძლიეს ფრანგებს — 5-2, შვედებმა კი გერმანელებს — 3-1.

**ფინალი:** ბრაზილია — შვეცია. რა შეეძლოთ დაეპირისპირებინათ მასპინძლებს ესოდენ ბრწყინვალე ბრაზილიელებისთვის? ისინი სულაც ჰკარგავდნენ იმედს. ჯერ ერთი, შვედებს თვით ჰყავდათ ჩინებული ნაკრები, რომელიც ფინალში სრულიად დამაჯერებლად გავიდა. ხომ იყო საკუთარი კედლებიც, მაყურებლის ფაქტორიც.

და მაინც, როგორც ჩვენი გულშემატკივრები თვალნათლივ დარწმუნდნენ, ბრაზილიელებთან ბრძოლა ამ შეჯიბრებაში შეუძლებელი იყო. სამხრეთამერიკელების გუნდში ფინალურ მატჩში მხოლოდ ერთი ცვლილება მოხდა: თუ წინა შეხვედრაში მარჯვენა მცველად დე სორდი თამაშობდა, იგი დაშავდა და კვლავ მრავალნაცადი ჯ. სანტოსით შეიცვალა. მატჩი მასპინძლების იერიშით დაიწყო ჰუნარ გრენმა, რომელსაც იტალიაში თამაშის თვალსაჩინო გამოცდილება ჰქონდა, ქილმარის პირისპირ კიდევ ერთი იტალიელი თავისი კაპიტანი ნილს ლიდჰოლმი გაიყვანა. კაპიტანმა შესანიშნავი სლალომის შემდეგ ასევე კარგად დაარტყა — 1-0. ტრიბუნები ზეიმობდნენ. „წყნარად ბიჭებო, ახლა „ჩვენი ჯერია“ — ასეთი სიტყვებით მიმართა დიდიმ პარტნიორებს, როცა ბრაზილიელები ცენტრიდან იწყებდნენ თამაშს. ცოტა ხანიც და გარინჩამ თავისი მორიგი რეიდი დაიწყო, გვერდი აუარა პარლინგს, აქსბომს და ბურთი კარის სიახლოვეს, ვავას გადასცა — 1-1. ინიციატივა კვლავ მასპინძლების მხარეზე გადავიდა. ამ მონაკვეთში ბრწყინვალედ ითამაშა ქილმარმა, რომელმაც რამდენჯერმე იხსნა თავისიანები, მოიგერია სკოგლუნდისა და გრენის ძლიერი დარტყმები. მასპინძლების შეტევებმა თანდათან იკლო, ბრაზილიელებმა კი გაიმეორეს გარინჩასა და ვავას უკვე ტრადიციად ქცეული „ნომერი“ — 2-1.

შესვენებისას ფეოლამ თავის ფეხბურთელებს ასე მიმართა: „ხომ ხედავთ, შვედებს არ შეუძლიათ თქვენი დამარცხება! თუ მათ ძალიან „არ დაეხმარებით“ მსოფლიო ჩემპიონები გახდებით!“ ბრაზილიელებმა თამაშის განახლებისთანავე შეუტიეს, ისინი ნაირ-ნაირი კომბინაციებით გადიოდნენ სვენსონის კართან. შეტევებში ხშირად ერთვოდა მარცხენა მცველი ნილტონ სანტოსი. მისი ერთ-ერთი გარღვევის შემდეგ ბურთი მიიღო პელემ, გვერდი აუარა ბერგმარკს და გაიტანა გოლი — 3-1. ეს უკვე დასასრულის დასაწყისი იყო. ეტყობა, ამის შემდეგ თვით შეუპოვარმა მეკარე სვენსონმაც კი ხელი ჩაიქნია, მთელი სტადიონი უკვე ბრაზილიელებს უკრავდა ტაშს. მინდვრის შუაგულში დიდი და ზიტო ბატონობდნენ. თავი გამოიჩინა ზაგალომაც, რომელმაც კიდევ ერთი ბურთი გაიტანა — 4-1. მასპინძლებს სრული კატასტროფა დაემუქრა, მაგრამ შეძლეს უკანასკნელი ძალების მოკრეფა და „ცოტა შეალამაზეს“ ანგარიში. ცენტრფორვარდმა სიმონსონმა შეძლო ერთი ბურთის გატანა — 2-4. საინტერესოა, რომ ამ ანგარიშმა ბრაზილიელები არ დააკმაყოფილა, მათ მეტი მოინდომეს და მიაღწიეს კიდევაც მიზანს. კვლავ ზაგალოს გარღვევა და პელეს მიერ თავით გატანილი ბურთი. 5-2 — ეს უკვე საბოლოო ანგარიში იყო.

ბრაზილიელებმა პირველად მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონობა. რა აჩვენეს მათ ახალი წინა ჩემპიონატთან შედარებით? ჯერ ერთი, დაწინაურდა ახალი, უნიჭიერესი თაობა. ამავე დროს მათ ისწავლეს თავის დაცვა, ისე, რომ არ დაკარგეს თამაშის სილამაზე და მომხიბლაობა. ტექნიკური ალჭურვილობის თვალსაზრისით კი, ექსპერტების აზრით, ბრაზილიელები ყველა დანარჩენ მეტოქეს მკვეთრად აღემატებოდნენ. ახლა ფიზიკურ მომზადებასა და სისწრაფეს არ იტყვით?! ერთი სიტყვით, არ დარჩენილა არც ერთი სპეციალისტი, რომელსაც ბრაზილიელების სრული უპირატესობა არ ეღიარებინოს. ისინი, უკლებლივ ყველა კომპონენტით მსოფლიოში უძლიერესები იყვნენ.

**ბივი ბამრეკელი**

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო“ №№30, 31, 32.



ჩემპიონატის ფინალი მოგებულია, ბრაზილიელების სიხარულს საზღვარი არა აქვს. მარცხნიდან: დიდი, პელე (სიხარულის ცრემლებით), ჟილმარი, ორლანდო.

ფოტო „ლელოს არქივიდან.

---

**FRANCE 98 INFORMATIONS**

## „მარაკანაზე“ ზაგალო – პასარელას დუელია

**სახელგანთქმულ „მარაკანაზე“ ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრებს 1993 წლის სექტემბრის შემდეგ არ უთამაშია (ბოლოს ურუგვაისთან მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი იყო) და აი, დღეს აქ დიდი სანახაობა გაიმართება — მარიო ზაგალოს ბიჭებს დანიელ პასარელას შეგირდები შეეჯიბრებიან.**

ზაგალომ ამ ამხანაგური მატჩისათვის პრაქტიკულად იმ ყველა მოთამაშეს უხმო, ვის წაყვანასაც აპირებს მომავალ მონდიალზე საასპარეზოდ. ესენია, ***მეკარეები*** — კარლოს ჟერმანო, ტაფარელი; ***მცველები*** — ალდაირი, კაფუ, რობერტო კარლოსი, ზე რობერტო, ჟუნიორ ბაიანო, გონსალვეში, ზე კარლოსი, კლებერი; ***ნახევარმცველები*** — სეზარ სამპაიო, დორივა, ფლავიო კონსეისაო, ლეონარდო, რაი, ზე ელიასი, დენილსონი, ზინიო; ***თავდასხმელები*** — ედმუნდო, რონალდო, რომარიო, ბებეტო.

კვირას საღამოს ზაგალომ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ საფრანგეთში წასაყვანთა დაზუსტებულ სიას საზოგადოებას 5 მაისს ამცნობს. შეკითხვაზე, თუ რატომ არ არიან გამოძახებულნი არგენტინასთან მატჩისათვის „ვასკო და გამას“ მცველი მაურო გალვაო და „სანტოსის“ ფორვარდი მიულერი, მწვრთნელმა უპასუხა: „ისინი ბრწყინვალე ფეხბურთელები არიან, მაგრამ ნაკრებში ვერ მოხვდნენ. ბრაზილიაში იმდენი კარგი მოთამაშეა, რომ ვიღაც ყოველთვის გარეთ დარჩება.

## „ინტერტოტოზე“ სიახლეებია

პრესტიჟულ ევროპის საკლუბო ტურნირებს (ჩემპიონთა თასი, უეფას თასი, თასების თასი) უეფამ, ამ სამი წლის წინათ, კიდევ ერთი ახალი შეჯიბრება — ინტერტოტოს თასის გათამაშება დაუმატა. შეატყო რა, რომ ბობოლა საფეხბურთო ქვეყნებში ეს ასპარეზობა პირველ ხანებში მაინცდამაინც დიდი პრესტიჟით არ სარგებლობდა, უეფამ ნება დართო პირველ სამ ადგილზე გასულ გუნდებს ავტომატურად ჩართულიყვნენ უეფას თასის გათამაშებაშიც. საქართველოს კლუბებთაგან ინტერტოტოზე წინა წლებში ფოთის „კოლხეთმა“ და თბილისის „მერანი-91“-მა სცადეს ბედი. ამ უკანასკნელს სულ ცოტა დააკლდა — ჯგუფიდან გასვლა ვერ შეძლო, მაგრამ თავდაუზოგავად იბრძოლა და საყოველთაო სიმპათიები დაიმსახურა.

ამ დღეებში უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს ცნობა, რომ უეფამ, ინტერტოტოს გათამაშების სტრუქტურა შეცვალა. რაში მდგომარეობს სიახლე? თუკი ადრე გუნდები ოთხადგილიანი ერთწრიანი ჯგუფებიდან გადიოდნენ პლეი-ოფში, ახლა თასის სამ გამარჯვებულს მიმოსვლით გამართული ხუთი ეტაპი გამოავლენს.

***პირველ ეტაპზე*** (20-21 და 27-28 ივნისი) 40 გუნდი 20 გამარჯვებულს გაარკვევს. ***მეორე ეტაპზე*** ეს 20 გამარჯვებული 12 განთესილს შეუერთდება და ერთმანეთს შეეპაექრება (4-5 და 11-12 ივლისი). ***მესამე ეტაპზე*** 16 გამარჯვებულს კიდევ 8 საუკეთესო განთესილი შეუერთდება (18-19 და 25 ივლისი). ***მეოთხე ეტაპზე*** 12 საუკეთესო ნახევარფინალს (29 ივლისი, 5 აგვისტო) გაითამაშებს. და, ბოლოს, ნახევარფინალში გამარჯვებული 6 გუნდი კენჭისყრით დაწყვილდება და უეფას თასზე გასასვლელ სამ კოლექტივს გამოავლენს (11 და 25 აგვისტო).

## ციниკოსია გაალი?

***ის, რომ „რეალი“ და „ბარსელონა“ მოსისხლე მტრებივით არიან, ყველამ იცის. გუშინწინ კატალონური კლუბის ჰოლანდიელმა მწვრთნელმა ლუის ვან გაალმა ცეცხლზე ნავთი დაუმატა — ჟურნალისტებთან საუბარში ჩემპიონთა ლიგის 20 მაისის ფინალში „იუვენტუსს“ მადრიდელებთან გამარჯვება უწინასწარმეტყველა: „ფინალში ყველაფერია მოსალოდნელი. სამეფო კლუბს მაღალი კლასის ინდივიდუალისტები ჰყავს, მაგრამ ჯერ ერთი „იუვე“ არანაკლები მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული, მეორეც ტურინელთა გუნდი სტრუქტურულად უფრო დახვეწილია, მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელები ჰყავს, ამიტომაც, თასს „იუვე“ დაეუფლება, ამას წყალი არ გაუვა!“***

***ლუის ვან გაალის განცხადებამ „რეალის“ გულშემატკივრები აღაშფოთა, ხოლო კლუბის პრეზიდენტმა ლორენცო სანსმა ჰოლანდიელის ნათქვამს ცინიკური უწოდა.***

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ოღონდ გერმანელებს მოვუგოთ“...

ჟურნალ „შპიგელის“ ერთ-ერთ ბოლო ნომერში გამოქვეყნდა ვრცელი საუბარი „კიოლნში“ მოთამაშე ავსტრიელ თავდამსხმელ ანტონ პოლსტერთან. მისი ორი ძირითადი თემა იყო მდგომარეობა ავსტრიულ ფეხბურთში და მუდმივი მეტოქეობა დიდ მეზობელთან – გერმანიასთან.

● ***ჰერ პოლსტერ! სად იყავით 1978 წლის 21 ივნისს?***

– სად ვიყავი და ტელევიზორს ვუყურებდი, 14 წლის ყმაწვილი. მსოფლიო ჩემპიონატი არგენტინაში, ქ. კორდობა, 3-2 – ასე დაამარცხეს ჩვენებმა გერმანელები. მაშინ მთელი ავსტრია მიუჯდა ტელევიზორს.

● ***რას გრძნობდით მაშინ?***

– იმას, რომ დავამარცხეთ ნაკრები, რომელსაც მსოფლიო კლასის ფეხბურთელები ჰყავდა. მართალია, მე მაშინ პატარა ვიყავი იმისათვის, რომ აღმექვა ჩვენი მუდმივი მოქიშპეობა გერმანელებთან.

● ***ამჯერად წილისყრა მოწყალე აღმოჩნდა: მსოფლიო ჩემპიონატს საფრანგეთში ავსტრიელები და გერმანელები სხვადასხვა ჯგუფებში დაიწყებენ: სხვანაირად რომ მომხდარიყო?***

– მაინც ვამჯობინებდი გერმანელებთან დასაწყისიდანვე შეხვედრას. ხომ კარგად არის ცნობილი, რომ ნებისმიერი შეჯიბრების მსვლელობისას გერმანელები აუცილებლად თანდათან აუმჯობესებენ თამაშს. მოკლედ რომ ვთქვათ, წინასწარ ეტაპზე გერმანელებთან მოგება უფრო იოლია, ვიდრე, ვთქვათ, ფინალურ ნაწილში.

● ***კორდობაში გამარჯვების ერთ-ერთმა მონაწილემ, ავსტრიის ნაკრების ახლანდელმა მწვრთნელმა ჰერბერტ პროხაზკამ თქვა: „გერმანელებთან ერთი მოგება ხუთი წაგების ტოლფასია“. რატომ?***

– აქ როლს თამაშობს ავსტრიელებისათვის დამახასიათებელი არასრულფასოვნების კომპლექსი. გერმანია – აქ უკვე ვერაფერს გააწყობ – ეკონომიური გიგანტია, ჩვენ კი... ამასთან, გერმანელები სულელურად ხუმრობენ და დაგვცინიან.

● ***მაგალითად?***

– როცა ჩემი თანამემამულე ანდრეას ჰერცოგი 1992 წელს ვენიდან ბრემენში გადავიდა, ლევერკუზენის „ბაიერის“ ახლანდელმა მწვრთნელმა კრისტოფ დაუმმა ასეთი განცხადება გააკეთა: „ან ახლა ანდი ფეხბურთის თამაშს ისწავლის, ანდა, კვლავ ავსტრიელად დარჩება“.

● ***ასეთ მაგალითსაც მოვიყვანდი: „ავსტრიელი 18 წლის ასაკში დარწმუნებულია, რომ პელეა, ოცი წლის ასაკში – ბეკენბაუერია, 24 წლისა კი ამჩნევს რომ იგი მხოლოდ და მხოლოდ ავსტრიელია“. ამასთან, ეს რომელიმე ჭკუამხიარულ ოხუნჯს კი არ უთქვამს, არამედ თქვენი ცნობილი მწვრთნელის, მაქს მერკელის სიტყვებია.***

– უკვე დავამტკიცეთ, რას წარმოვადგენთ ავსტრიელი ფეხბურთელები. ჰერცოგი ორჯერ აღიარეს ბუნდესლიგის საუკეთესო ფეხბურთელად, მე კი ბუნდესლიგის სნაიპერებს შორის ერთხელ მეორე და ორჯერ მესამე ვიყავი. ევროთასებზე სამ უკანასკნელ შეხვედრაში გერმანელებთან სამჯერვე ჩვენ, ავსტრიელებმა გავიმარჯვეთ.

● ***ყველა სხვა ქვეყნის ლეგიონერებს შორის ბუნდესლიგაში ავსტრიელებს ყველაზე არასერიოზულად თვლიან. რატომ?***

– ეს ძველთაძველი ცრურწმენის გამოა, რომ ავსტრიელი მთელ მინდორზე ისე თავდაუზოგავად არ ირბენს, როგორც გერმანელი, რომ ავსტრიელი თითქოს თავის პროფესიას ცოტა ზერელედ ექცევა.

● ***აი, თქვენც, სწორედ ასეთი იმიჯი გაქვთ ბუნდესლიგაში.***

– ეს ხომ ტყუილია, თითქოს არ დავრბივარ. თუკი შემიძლია გოლი ისე გავიტანო, რომ არ გავიქცე, მაშინ ჩემი მეტოქეები სრული იდიოტები ყოფილან. გარდა ამისა, ბუნებით მხიარული კაცი ვარ და ხშირად ვხუმრობ კიდეც.

● ***აი ამაში გამტყუნებენ კიდევაც „კიოლნში“, სადაც თქვენ თამაშობთ. ერთხელ მატჩი სამარცხვინოდ წააგეთ და თუმცა აკრძალული გქონდათ, მაინც იმღერეთ თქვენი შლიაგერი კიოლნის ქალთა ანსამბლ „ფანტასტიკურ ბინძურებთან“ ერთად.***

– მე ხომ ამ კონტინენტზე მონაწილეობაზე ჯერ კიდევ თამაშამდე დავთანხმდი. სიტყვის კაცი ვარ. ის, რომ კლუბის ხელმძღვანელობამ კონცერტზე გამოსვლა ამიკრძალა, ჩემთვის საუკეთესო რეკლამა აღმოჩნდა. კომპაქტდისკი „ბინძურებთან“ 80 ათასი ცალი გაიყიდა – ფეხბურთის თემაზე შექმნილი სიმღერისათვის ეს სენსაციური წარმატება იყო.




● ***გერმანელ მოთამაშეთაგან ვისთან გაქვთ სულიერი სიახლოვე?***

– რა თქმა უნდა, მარიო ბასლერთან.

● ***„რომელიც „ბაიერნში“ იმაზე ნაკლებსაც კი დარბის, ვიდრე თქვენ „კიოლნში“?***

– მე მარიოში მისი ძალდაუტანებლობა მხიბლავს. იგი ცოტათი გენიოსია, ცოტათი შეშლილი, საერთოდ კი, ნაკლებად ტიპიური გერმანელი.

● ***რას ეძახით ტიპიურ გერმანელს?***

– ანგარიშიანობას, მომჭირნეობას. გერმანელს უყვარს ხაზგასმა, რომ კომპეტენტური ადამიანია. „აბა, წყნარად, აქ მე ვარ შეფი, ისე გააკეთეთ, როგორც მე გეუბნებით“. ესპანეთში, სადაც 6 წელი ვითამაშე, პირიქით, ყველა თანაბარია, ყველა ერთად სხდება, შეუძლიათ 5 კათხა ლუდი დალიონ და შემდეგ კომპრომისიც მონახონ. ამასთან, თითოეულს შეუძლია მეორეს დაუთმოს. გერმანელობა ამავე დროს გააფთრებასაც ნიშნავს. ასეთი გააფთრებით თამაშობენ გერმანელები თავიანთ კლუბებში.

● ***არა გწყინთ, როცა ზედმეტ ლაპარაკს გისაყვედურებენ?***

FRANCE 98
INFORMATIONS

– დიდი ხანია შევნიშნე, რომ ჩემს ცოტაოდენ მოძველებურ ვენურ დიალექტს აქ მაინცდამაინც კარგად ვერ იგებენ. გარდა ამისა, ისიც გავიგე, რომ კაცი, რომელსაც სხვებზე მეტი შემოსავალი აქვს, თავდასხმისათვის მზად უნდა იყოს.

ასეა ახლა გერმანიაში, ასეა, თუ გნებავთ, ავსტრიაშიც. თუ ავსტრიის ნაკრები იგებს, მადიდებენ და ჩემს სურათს პირველ გვერდზე ათავსებენ, თუ აგებს – მაინც ყურადღების ცენტრში ვარ. ერთი სიტყვით, ხან განტევების ვაცი ვარ, ხან კი გმირი.

● ***თამაშობდით ავსტრიაში, იტალიაში, ესპანეთში, ახლა კი გერმანიაში გამოდიხართ. რაშია განსხვავება?***

– გერმანიაში ყველაფერი, პირდაპირ გულის არევამდე, ორგანიზებულია. წესრიგით და წესებისადმი უმკაცრესი პატივისცემით ყველა გერმანელი გაიმსჭვალა. მოთამაშეები სიამოვნებით იფშვნეტენ ხელს, როცა გაიგებენ, რომ ვიღაცამ ფულადი ჯარიმა უნდა გადაიხადოს. ისე კი, შეიძლება კაცი ყოველგვარი სულელური მიზეზით დააჯარიმონ. ესპანეთში კი ასე იყო: წყნარად ვსადილობთ და როცა ყველა დაამთავრებს ჭამას, მივემგზავრებით, დიახ უკანასკნელსაც ვუცდით.

● ***გერმანიაში?***

– აქ სტადიონზე სადილის შემდეგ მივდივართ, ზუსტად 12 საათსა და 30 წუთზე. ათი წამითაც რომ დაიგვიანო, ჯარიმას გადაგახდევინებენ. ამასთან, ყველაზე დიდი პრობლემები მე მექმნებოდა.

● ***იმიტომ ხომ არ გაჯარიმებენ ყველაზე ხშირად, რომ ძუნწი კაცის სახელი გაქვთ?***

– ვინც მაგას ამტკიცებს, კრეტინია, მართალია, ხელმომჭირნე ვარ, ღარიბ ოჯახში გავიზარდე, მაგრამ ძუნწი ნამდვილად არ მეთქმის. ახლა ჩემს ოჯახს უკვე არაფერი აკლია.

● ***მას შემდეგ, რაც 1993 წელს „კიოლნში“ მოხვედით, გუნდი სისტემატურად იბრძვის ბუნდესლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად.***

– არასოდეს ვნანობ, რომ ამ კლუბში მოვედი ყველა პრობლემის მიუხედავად, „კიოლნი“ მაღალი კლასის კლუბია, რომელსაც მთელი მსოფლიო იცნობს.

მოამზადა
ბიბი თორელმა

# „კაიზერში“ ზეიმს ელიან

ჩირიაკო სფორცა რომ დიდად ნიჭიერი ფეხბურთელია, ამას მტკიცება, ალბათ, არ სჭირდება. შვეიცარიელმა ნახევარმცველმა ევროპის წამყვანი გუნდები გამოიცვალა და ყველგან იპოვა თავი. გასულ სეზონში იგი „ინტერიდან“ დაბრუნდა „კაიზერსლაუტერნში“ და გაამართლა თუ არა ამ ნაბიჯმა, ეს ბუნდესლიგის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილიდანაც კარგად ჩანს.

● ***„კაიზერსლაუტერნი“ დამაჯერებლად ლიდერობს გადათამაშებას, ნაადრევი ხომ არ იქნებოდა ჩემპიონობის მოლოცვა?***

– ვფიქრობ, ნაადრევია. ყოველთვის თავს ვიკავებ პროგნოზებისგან. „ბაიერნი“ ის გუნდი არაა, ბოლომდე რომ არ იბრძოლოს. მით უმეტეს, ჩემპიონთა ლიგიდან გავარდა და ალბათ დასაკარგი აღარაფერი აქვს.

● ***ბევრი სპეციალისტი თქვენი გუნდის წარმატებას მთლიანად ოტო რეჰაგელს „აბრალებს“. თქვენი აზრით, შეკრული გუნდის ყოლა მხოლოდ მწვრთნელის დამსახურებაა?***

– რეჰაგელი დიდი მწვრთნელია. ყველასგან გამორჩეული ტაქტიკა და სქემა აქვს. იგი ყოველთვის გვეუბნება, რომ სწორედ მისთვის საჭირო მოთამაშეები ვართ. „კაიზერსლაუტერნი“ ვერ დაიკვეხნის დიდი ფინანსური სახსრებით. ამიტომ არ შეუძლია იყიდოს უპირველესი ვარსკვლავები, ისეთები, როგორიც „ბაიერნს“ და „ბორუსია-დორტმუნდს“. რეჰაგელიც ასეთი პატარა გუნდისთვის ზედგამოჭრილია, რადგან იგი არ არის ვარსკვლავომანიის მიმდევარი.

● ***მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში შვეიცარია ვერ მოხვდა და ეს ფინელთა და უნგრელთა გარემოცვაში. ნუთუ თქვენი ნაკრების ძლიერი თამაში წარსულს ჩაბარდა?***

– ყველაფერი ორგანიზაციული უწესრიგობის ბრალია. როლფ ფლინგერს მუშაობას არ აცლიდნენ. თანაც ვერც ერთი თამაში ვერ დავალაგეთ. ყოველ შეხვედრაში იცვლებოდა გუნდის შემადგენლობა. ზოგი მეტოქეც სათანადოდ ვერ შევაფასეთ. შვეიცარიას კვლავაც ჰყავს ძლიერი ფეხბურთელები – სტეფან შაპიუზა, მურატ იაკინი, პასკალ ტიულერი...




● ***მაშ ევრო-2000-ის შესარჩევი თამაშები გელით...***

– ძლიერ ჯგუფში მოვხვდით. ჩემი აზრით, მთავარი ბრძოლა დანიის ნაკრებთან გვექნება. იტალიელებთან დაკავშირებით კი სასიამოვნო მოგონებებს ვიხსენებ. სწორედ ისინი იყვნენ ჩვენი მეტოქეები რამდენიმე წლის უკან და შესანიშნავი გამარჯვება მოვიპოვეთ. თუმცა, არა მგონია ახლა ჩვენი და „სკუადრა აძურას“ შედარება შეიძლებოდეს.

● ***თქვენ ტიპიური გამთამაშებელი ხართ, თუ მწვრთნელის დავალებას ასრულებთ-ხოლმე? მაგალითად, „ინტერში ხშირად საყრდენ ნახევარმცველად თამაშობდით...***

– იმიტომ, რომ იქ არონ ვინტერი და იური ჯორკაეფი იყვნენ. მე გამთამაშებელი ვარ და ჩემი ადგილი მოედნის ცენტრიდან მეტოქის საჯარიმომდეა. საერთოდ, გერმანიაში ორი გამთამაშებლით ბევრი თამაშობს. ზოგჯერ ბრაზილიელი რატინიო მეხმარება-ხოლმე შეტევაში.

● ***„კაიზერი“ ახლოსაა ჩემპიონობასთან. თუ ასე მოხდა, ეს მართლაც დიდი სენსაცია იქნება.***

– უკვე წარმოდგენილი მაქვს, რა მოხდება ქალაქში, თუ ჩემპიონები გავხდით. აქ ხომ ყოველი მოგებული მატჩის შემდეგ არაჩვეულებრივ ზეიმს აწყობენ.

„ბრავო სპორტიდან“
თარგმნა
ილია ნანობაშვილმა

სტატისტიკის მოყვარულთათვის

UEFA CHAMPIONS LEAGUE — ჩემპიონთა ლიგა

UEFA Cup Winners' Cup — თასების თასი

UEFA CUP — უეფას თასი

# ევროთასების ფინალისტები

1. ევროთასებში ჩატარებული მატჩების რაოდენობის მიხედვით ლიდერობს „ინტერის“ ფეხბურთელი ჯუზეპე ბერგომი, რომელმაც ჩაატარა 108 მატჩი, რეი კლემენსმა 104 მატჩი ითამაშა.

2. ევროთასების ფინალისტებიდან ყველაზე „ხნიერი“ გუნდია „შტუტგარტი“, იგი დაარსდა 1893 წელს. შემდეგ მოდის: „იუვენტუსი“ (1897 წ.), „ლაციო“ (1900 წ.), „რეალი“ (1902 წ.) „ჩელსი“ (1905 წ.), „ინტერი“ (1908 წ.).

3. წლევანდლამდე სულ გათამაშდა 118 ევროთასი, რომლებიც მოიპოვეს შემდეგი ქვეყნის გუნდებმა: ინგლისი 24 თასი (8 ჩემპიონთა, +7 თასების თასი +9 უეფას თასი), იტალია – 23 თასი (9+6+8), ესპანეთი – 22 (7+7+8), გერმანია – 15 (5+4+6), ჰოლანდია – 10 (6+1+3), პორტუგალია – 4 (3+1+0), ბელგია – 4 (0+3+1), შოტლანდია – 3 (1+2+0), სსრკ – 3 (0+3+0), საფრანგეთი – 2 (1+1+0), იუგოსლავია – 2 (1+0+1), შვედეთი (0+0+2), რუმინეთი – 1 (1+0+0), უნგრეთი – 1 (0+0+1), გდრ – 1 (0+1+0), ჩეხოსლოვაკია – 1 (0+1+0).

4. ევროთასების ფინალისტებიდან ყველაზე მეტჯერ თავიანთი ქვეყნის ჩემპიონები იყვნენ: „რეალი“ – 27-გზის ჩემპიონი; „იუვენტუსი“ – 24, „ინტერი“ – 13, „შტუტგარტი“ – 4, „ლაციო“ და „ჩელსი“ თითოჯერ იყვნენ თავიანთი ქვეყნის ჩემპიონები.

5. ევროთასების ფინალისტებმა დღემდე გაიტანეს შემდეგი რაოდენობის გოლები: **„იუვენტუსი“** – 23 გოლი (დელ პიერო – 10, ინძაგი – 6, ზიდანი – 3, ამორუზო – 2, ფონსეკა – 1, ბირინდელი – 1); საშუალოდ თითო მატჩში 2,3 ბურთი. **„ჩელსი“** – 21 გოლი (ვიალი – 6, ძოლა – 3, დი მატეო – 3, პეტრესკუ – 2, ფლო – 2, ლებეფი – 1, გრუნვილი – 1, სინკლერი – 1, პოიეტი – 1, ჰიუზი – 1); საშუალოდ – 2,6 ბურთი. **„რეალი“** – 21 (მუკერი – 4, მორიენტესი – 4, კარამბე – 3, იერო – 3, რაული – 2, რობერტო კარლოსი – 2, სანჩესი – 1, პანუჩი – 1, ზე რობერტო – 1); საშუალოდ – 2,1. **„შტუტგარტი“** – 17 გოლი (ბობიჩი – 6, აკპობორი – 6, ბალაკოვი – 2, პოშნერი – 2, ვერლაატი – 1). საშუალოდ – 2,1. **„ინტერი“** – 17 გოლი (რონალდო – 5, მორიერო – 3, განცი – 2, ზე ელიასი – 2, სიმონე – 1, კოე – 1, ვესტი – 1, ძანეტი – 1, სამორანო – 1). საშუალოდ – 1,7. **„ლაციო“** – 16 (კაზირაგი – 4, მანჩინი – 3, ნედვედი – 2, სინიორი – 2, იუგოვიჩი – 1, ვენტურინი – 1, ნესტა – 1. ფუზერი – 1, გოტარდი – 1). საშუალოდ – 1,6.

6. ჩემპიონთა თასის (ლიგის) ფინალში ერთმანეთს იტალიისა და ესპანეთის გუნდები **ხუთჯერ** შეხვდნენ: აქედან სამჯერ გაიმარჯვეს ესპანელებმა: 1957 წ. რეალი – ფიორენტინა 2-0; 1958 წ. რეალი – მილანი 3-2; 1992 წ. ბარსელონა – სამპდორია 1-0.

იტალიელებმა ორჯერ მოიგეს: 1964 წ. ინტერი – რეალი 3-1; 1994 წ. მილანი – ბარსელონა 4-0.

7. თასების მფლობელთა თასის ფინალში ერთმანეთს გერმანიისა და ინგლისის გუნდები 2-ჯერ შეხვდნენ: 1965 წ. „ვესტ ჰემი“ – „მიუნხენ-1860“ 2-0; 1966 წ. „ბორუსია“ (დორტმუნდი) – „ლივერპული“ 2-1.

8. უეფას თასის ფინალში ეს იქნება მე-9 „დერბი“ მანამდე ერთმანეთს შეხვდნენ შემდეგი ქვეყნის გუნდები: 3-ჯერ ესპანელები – 1962 წ. „ვალენსია“ – „ბარსელონა“ 6-2; 1-1. 1964 წ. „სარაგოსა“ – „ვალენსია“. 2-1. 1966 წ. „ბარსელონა“ – სარაგოსა“ 0-1; 4-2. 3-ჯერ იტალიელები – 1990 წ. „იუვენტუსი“ – „ფიორენტინა“ 3-1; 0-0. 1991 წ. ინტერი – რომა 2-0; 0-1. 1995 წ. პარმა – იუვენტუსი 1-0; 1-1. თითოჯერ: ინგლისის 1972 წ. ტოტენჰემი – ვულვერჰემპტონი 2-1; 1-1. გერმანიის – 1980 წ. „აინტრახტი“ – „ბორუსია“ (მიონხენგლადბახი) 2-3; 1-0.

9. ევროთასების ფინალისტებიდან ამ ციკლში არც ერთი თამაში არ წაუგია „ლაციოს“, მისი შედეგია 7 მოგება და 3 ფრე, ბურთების შეფარდება 16-3 = +13;

„შტუტგარტი“ – 6 მოგება; 1 ფრე; 1 წაგება; ბურთები 17-8 = +9;

„რეალი“ – 6 მოგება; 3 ფრე; 1 წაგება; ბურთები 21-5 = +16;

„ინტერი“ – 7 მოგება; 1 ფრე; 2 წაგება; ბურთები 17-8 = +9;

„ჩელსი“ – 6 მოგება; 2 წაგება; ბურთები 21-8 = +13.

„იუვენტუსი“ – 6 მოგება; 1 ფრე; 3 წაგება; ბურთები 23-14 = +9.

10. ფინალისტებიდან ყველაზე უფრო „ტიტულოვანია“ მადრიდის **„რეალი“**, რომელიც ფლობს: ჩემპიონთა თასს 6-ჯერ და 2-ჯერ უეფას თასს. ამას გარდა, 3-ჯერ იყო ჩემპიონთა თასის ფინალისტი (1962 წ. „ბენფიკა“ – „რეალი“ 5-3; 1964 წ. „ინტერი“ – „რეალი“ 3-1; 1981 წ. „ლივერპული“ – „რეალი“ 1-0) და 2-ჯერ იყო თასების თასის ფინალში (1971 წ. „ჩელსი“ – „რეალი“ 1-1; 2-1; 1983 წ. „აბერდინი“ (შოტლანდია) – „რეალი“ 2-1).

**„იუვენტუსი“** – ჩემპიონთა თასი – 2; თასების მფლობელთა თასი – 1 და უეფას თასი – 3. ამას გარდა 3-ჯერ იყო ჩემპიონთა თასის ფინალისტი (1973 წ. „აიაქსი“ – „იუვენტუსი“ 1-0; 1983 წ. „ჰამბურგი“ – „იუვენტუსი“ 1-0; 1997 წ. ბორუსია (დორტმუნდი) – იუვენტუსი 3-1) და სამჯერ უეფას თასის ფინალისტი (1965 წ. „ფერენცვაროში“ – „იუვენტუსი“ 1-0; 1971 წ. „ლიდსი“ – „იუვენტუსი“ 1-1, 2-2; 1995 წ. „პარმა“ – „იუვენტუსი“ 1-0; 1-1).

**„ინტერი“** – ჩემპიონთა თასი – 2 და უეფას თასი – 2. იყო ჩემპიონთა თასის 2-გზის ფინალისტი (1967 წ. „სელტიკი“ – „ინტერი“ 2-1; 1972 წ. „აიაქსი“ – „ინტერი“ 2-0) და უეფას თასის ფინალისტი (1997 წ. „შალკე-04“ – „ინტერი“ 1-0; 0-1 პენალტებით 4-1).

**„ჩელსი“** – თასების მფლობელთა თასის 1971 წ. მფლობელი. გარდა ამ თასისა არც ერთ ფინალში არ მონაწილეობდა.

**„შტუტგარტი“** – არ მოუპოვებია არც ერთი თასი. ერთხელ 1989 წ. იყო უეფას თასის ფინალისტი („ნაპოლი“ – „შტუტგარტი“ 2-1; 3-3).

**„ლაციო“** – არ მოუპოვებია არც ერთი თასი და საერთოდ „ლაციო“ პირველად გავიდა ევროთასების ფინალში

ვეფხია ჯალაღონია,
აფხაზეთი, სოფ. ფშაფი

## საქართველოს IX ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## მეორე ჯგუფი XXV ტური

### ასკ (თბილისი) — მერცხალი (ოზურგეთი) 9–0

*ასკ:* ჩლაიძე, ყუფარაძე, ცერცვაძე, გველესიანი, თევზაძე, მაისურაძე, დობორჯგინიძე (ამირიძე), ფირცხალავა (პოზოიანი), კაპანაძე (სულაძე), ფანცულაია, ტარიელაშვილი.
*მერცხალი:* როხაძე, ღლონტი, ტუღუში, ჭელიძე, დოლიძე, შათირიშვილი, იმნაძე, მგელაძე, თავლიშვილი, თორია, მჟავანაძე.
*გოლები:* მაისურაძე (18), ტარიელაშვილი (20,52,55,61,85), ფანცულაია (75), თევზაძე (82), ჩლაიძე (88).
*მსაჯი:* თამაზ ლაცაბიძე (სურამი).

არმიელთა უპირატესობა აშკარა იყო. გურულმა ფეხბურთელებმა მხოლოდ 20 წუთი გაუძლეს მეტოქეს, მერე კი გოლები პანტა-პუნტით გადიოდა როხაძის კარში. ასეთი უსუსური უნებისყოფო თამაში „მერცხალს", ტრადიციების მქონე კოლექტივს ნამდვილად არ ეკადრება. როგორც ეტყობა, გუნდი სულს ღაფავს და დაშლის პირასაა მისული. იმედია, ოზურგეთის რაიონის ხელმძღვანელობა დახმარების ხელს გაუწვდის „მერცხალს". და დაეხმარება კრიზისიდან გამოსასვლელად.

გოგა ლომიძე

**სხვა მატჩები:**
**იბერია (ქ.) — სამეგრელო 4-2, ფაზისი — იმერეთი 6-0, თორი — კოდაკო 2-2, საპოვნელა — იბერია (ს.) 0-3, კოლხეთი — ივერია 2-0, შსს აკადემია — მეშახტე 4-2, სქური — ცხინვალი 1-0.**

## სკოტმა დევიდმა მაკლარენის ლიდერობა განამტკიცა


კულჰარტი


ჰაკინენი

**ფორმულა-1-ის** მეოთხე ეტაპი სან-მარინოში (იმოლა) ჩატარდა და მაკლარენ-მერსედესის შოტლანდიელი პილოტის დევიდ კულჰარტის გამარჯვებით აღინიშნა. მან საკვალიფიკაციო რბოლა მოიგო და პირველი პოზიციიდან აიღო სტარტი. მეორე პოზიცია თანაგუნდელ ჰაკინენს ერგო, მესამე კი ფერარელ შუმახერს. კულჰარტი მთელი ეტაპის განმავლობაში ლიდერობდა. ჰაკინენს კი მე-17 წრეზე მოუხდა ტრასის დატოვება ბოლიდის ტექნიკური პრობლემების გამო და ლიდერთან პაექრობას შუმახერი შეუდგა, რომელიც ერთ მომენტში კულჰარტს 17 წამით ჩამორჩებოდა, მაგრამ შემდეგ მკვეთრად მოუმატა სისწრაფეს (წრის რეკორდიც კი დაამყარა) და 4,5 წამამდე დაიყვანა ლიდერის უპირატესობა, თუმცა მეტის გაკეთება ველარ შეძლო.

რბოლის საბოლოო შედეგები ასე გამოიყურება:
1. კულჰარტი (მაკლარენ-მერსედესი) 10 ქულა
2. შუმახერი (ფერარი) 6 ქულა
3. ირვინი (ფერარი) 3 ქულა.
4. ვილნევი (უილიამს-მეკაქრომი) 3 ქულა
5. ფრენცენი (უილიამს-მეკაქრომი) 2 ქულა
6. ალეზი (ზაუბერი) 1 ქულა

საერთო ჩათვლაში 26 ქულით ჰაკინენი ლიდერობს, მეორეზეა კულჰარტი (23), მესამეზე კი შუმახერი (20).

კონსტრუქტორებში პირველია მაკლარენ-მერსედესი (49 ქულა), მას მოჰყვებიან ფერარი (32), უილიამს-მეკაქრომი (13), ბენეტონ-მეკაქრომი (7) და ზაუბერი (4).

ფორმულა-1-ის მსოფლიო ჩემპიონატის მე-5 ეტაპი 10 მაისს გაიმართება ესპანეთში.

### ჭადრაკი

## სანკტ-პეტერბურგის ახალი ჩემპიონი

დამთავრდა სანკტ-პეტერბურგის საჭადრაკო ჩემპიონატი, რომელშიც 14 დიდოსტატი და ოსტატი მონაწილეობდა.

9,5 ქულით ჩემპიონის წოდება მოიპოვა დიდოსტატმა ევგენი სოლოჟენკინმა. მეორე ადგილზე გავიდა საერთაშორისო ოსტატი ვალერი პოპოვი (9 ქულა), მესამეზე — დიდოსტატი ვალერი ლოგინოვი (8,5).

სანკტ-პეტერბურგის ჩემპიონატის ეს სამი პრიზიორი მონაწილეობას მიიღებს რუსეთის ჩემპიონატში, რომელიც ზაფხულში ამ ქალაქშივე გაიმართება.



**მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე**

### რა ხდება ქვეყანაზე

## არავითარი «რბილი» დოპინგი



**საერთაშორისო** ოლიმპიურმა კომიტეტმა 2000 წლის სიდნეის ოლიმპიური თამაშების მონაწილე სპორტსმენთათვის აკრძალულ პრეპარატთა სიაში მარიხუანაც შეიტანა.

სოკ-ის ალმასკომის წევრმა, ბელგიელმა ჟაკ როგემ განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მარიხუანას აკრძალვის შესახებ მიღებულია მას შემდეგ, რაც წელს, ნაგანოს თამაშებზე კანადელ სნოუბორდისტ როს რებაგლიატის ჩამოართვეს ოქროს მედალი, ვინაიდან დადებითმა დოპინგტესტმა მის ორგანიზმში „აღმოაჩინა" ჰაშიში, თუმცა საარბიტრაჟო სასამართლომ დაუბრუნა სპორტსმენს მედალი, რადგან ადრე რებაგლიატი არ შეუმჩნევიათ სტიმულატორი-საშუალებების მიღებაში.

გადაწყვეტილება ეგრეთ წოდებული „რბილი" დოპინგის აკრძალვის შესახებ მიღებულია, — დასძინა როგემ, — რათა სიდნეის თამაშების მონაწილეებს არ დარჩეთ არავითარი ალტერნატივა, პატიოსანი ბრძოლის გარდა.

## სიდნეიმდე ჯერ შორსაა, მაგრამ...

**...თამაშების** საორგანიზაციო კომიტეტში ატყდა სკანდალი. აჯანყდა პრესა. ჟურნალისტებთან მუშაობის მენეჯერმა ქალმა ტრეისი ჰოლმსმა განაცხადა, ამ პოსტს ვტოვებო. თუმცა, თავს იკავებს კომენტარებისაგან თვითნებურად გადადგომის შესახებ. მაგრამ, ბევრის აზრით, ამის მიზეზი უთანხმოებაა მომავალი თამაშების საორგანიზაციო კომიტეტსა და ამ სამსახურს შორის, კერძოდ, ავსტრალიის ოლიმპიური სამინისტროს მაღალჩინოსან მაიკლ კნაიტთანაც. იგი შეთავსებით საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტიცაა.

— ვმუშაობდი ისე, როგორც მიმაჩნდა საჭიროდ, — თქვა ჰოლმსმა, რომელმაც 18 თვე დაჰყო ამ თანამდებობაზე. — და თავად გადაწყვიტა წასვლა.

## კროსვორდი


4


2-20


62


42-58

**თარაზულად:** 3. „ფორმულა-1"-ის ავსტრიელი პილოტი, 4. 80-იანი წლების გერმანიის საფეხბურთო ნაკრების ნახევარმცველი *(ფოტო)*, 7-8. სპორტის სახეობა, 11-12. სამწლიანი ცხენების ჯირითი 2400 მეტრ დისტანციაზე, 14-15. სპორტული შეჯიბრების ჩატარების ფორმა, 16-17. უნგრეთის საფეხბურთო ნაკრების თავდამსხმელი 1959-74 წლებში, 24-25. ჩილელი ჩოგბურთელი, 26. წარსულში გამოჩენილი შვედი მოთხილამურე, 33-36. არგენტინელი ჩოგბურთელი ქალი, 37. ქართველი მოჭადრაკე ქალი, 40-43. რუსი ტანმოვარჯიშე ქალი, 9 ოქროს ოლიმპიური მედლის მფლობელი, 44. წარსულში ავსტრიის საფეხბურთო ნაკრების მეკარე, 55-56. „რეალის" და ესპანეთის საფეხბურთო ნაკრების მარცხენა გარემარბი წარსულში, 57. გერმანელი ფეხბურთელი, მცველი, 1954 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, 64-65. თურქეთში მოთამაშე ნიგერიელი ფეხბურთელი, 66-67. ჩეხოსლოვაკიის ნაკრების ყოფილი მეკარე, 1976 წლის ევროპის ჩემპიონი, 69-70. მოძრაობა ძალოსნობაში, 71-72. ჯილდო შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის, 74. წარსულში ცნობილი ქართველი ჩოგბურთელი, 75. რუსი ტანმოვარიჯიშე, 7 ოქროს ოლიმპიური მედლის მფლობელი.

32. კავკასიონის ერთ-ერთი ძნელად დასალაშქრავი მწვერვალი, 41-64. ავსტრიის საფეხბურთო კლუბი, 43. კოლუმბიის საფეხბურთო ნაკრების ფორვარდი, 44. ქართველი ფრენბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი, 46-67. „ბაიერნის" და გერმანიის საფეხბურთო ნაკრების ფორვარდი, 47. ბელარუსი ჩოგბურთელი ქალი, 48-60. დასარტყამი სასიგნალო ინსტრუმენტი, 51-63. სპორტული ნაგებობა, 52. ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი, 61. „დორტმუნდის" იტალიელი საფეხბურთო მწვრთნელი, 62. გერმანელი ჩოგბურთელი ვაჟი *(ფოტო)*.

**დიაგონალურად:** 3-27. რუსი მძლეოსანი, ოლიმპიური ჩემპიონი სიმაღლეზე ხტომაში, 14-36. ინგლისელი ფეხბურთელი, თავდამსხმელი, 1958 წლის მიუნხენის ავიაკატასტროფის მსხვერპლი, 6-30. ცენტრალური მცველი, 34-15. „პარმას" მცველი, 16-39. სომხეთის საფეხბურთო კლუბი, 35-22. ფრანგი ფეხბურთელი, მცველი, 1984 წლის ევროპის ჩემპიონი, 23-38. მაროკოელი სტაიერი, ლოს-ანჯელესის ოლიმპიური ჩემპიონი, 28-5. მსაჯი, 37-17. ოჩამჩირის საფეხბურთო კლუბი, 31-13. ოლიმპიური კლასის იალქნიანი ნავი, 42-58. „ეინდჰოვენის" ნახევარმცველი *(ფოტო)*, 41-65. წარსულში ცნობილი ტანმაღალი ალმაათელი კალათბურთელი, 68-49. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა, 64-43. ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქი, 74-53. 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი, 59-45. სამეფო კლუბი, 66-46. „ფორმულა-1"-ის კანადელი პილოტი, 50-73. წარსულში გამოჩენილი ამერიკელი ჩოგბურთელი ვაჟი, 44-67. ცნობილი ავსტრიელი ფეხბურთელი და მწვრთნელი, 54-76. შეჯიბრებაში ნაჩვენები საუკეთესო, უმაღლესი შედეგი.

**შვეულად:** 1-19. წარსულში გამოჩენილი კენიელი მორბენალი, 2-20. იტალიელი მცველი, 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონი *(ფოტო)*, 6. „პარმას" და არგენტინის ნაკრების ფეხბურთელი, 9-36. წარსულში ცნობილი რუსი მოჭადრაკე, 10-37. მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი სტადიონი, 17. ბრაზილიელი ფეხბურთელი, 1958 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, 14-34. ფეხბურთის ბრაზილიელი გულშემატკივრები, 17-39. „ფრაიბურგის" ქართველი ფეხბურთელი, 18-29. საქართველოს საკალათბურთო გუნდი, 21-

შეადგინა
ბიძინა წირქვაძემ
(თბილისი)

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**
**თარაზულად:** 1. ტაფარელი, 3. კარტოზია, 6-9. პენტატლონი, 10-11. მარულა, 12. ბიკილა, 16. ენჩოსი, 18. „აცტეკა", 23. „ივერია", 29-30. ისინდი, 35. „გურია". 38-39. კალათბურთი, 41. იპონი, 50. „სელტა", 53-54. აზარაშვილი, 56. ივიჩი, 62. „გრემიო", 68-69. იურანი, 73. ბებეტო, 75. სანაძე, 78-79. იფტერი, 80. იტალია, 81-82. კაპაბლანკა, 83. არკონადა, 85. კარელინი. **შვეულად:** 1. ტრეტიაკი, 5. არახამია, 7. ტრეკი, 8. ლაუდა, 10-23. მოზესი, 11. „ალანია", 12. ბარკლი, 13-30. „აპოელი", 20. ორტეგა, 21. ბირთვი, 31-57. ფერგიუსონი, 32-58. ციმაკურიძე, 33-59. ძოძუაშვილი, 34-60. ჩიმიშკიანი, 51. არტიმე, 56. „ინტერი", 61. ასპრილია, 62. გოულდი, 63-79. ოუენსი, 68-80. ინძაგი, 69. იკპება, 70. ბიატლონი, 7[illegible]. ოკოჩა, 75. სარმა. **დიაგონალურად:** 2-27. ლუგანისი, 1-14. ტომბა, 24-43. ალემაო, 19-46. კაჭარავა, 36-17. აპოლონი, 37-25. პრესი, 26-4. პლანიჩკა, 44-29. „გუმარი", 15-5. „ბრაგა", 49-22. ნაიდორფი, 18-41. „არარატი", 28-40. ბრასი, 71-42. სამორანო, 83-76. „არისი", 63-47. ორტერი, 84-66. დიაულოსი, 52-64. ვოტრო, 51-74. ამოროზო, 67-55. ბორგი, 75-56. „სანტოსი", 45-72. ზაიფერტი, 48-68. ევერტი, 77-87. ვიალი, 65-86. პასარელა.

### ჩოგბურთი

## სამპრასი — აგასი 13:9

პიტ სამპრასისა და ანდრე აგასის მწავე მეტოქეობა, რომელიც წლების მანძილზე გრძელდებოდა, თითქოს შეწყდა მას შემდეგ, რაც აგასის თამაში მკვეთრად გაუარესდა და იგი, შეიძლება ითქვას, თავის სახელოვან მეტოქემდე, უბრალოდ, ველარ აღწევდა.

შარშანდელი წლის მიწურულიდან მოყოლებული, ამ მხრივ მდგომარეობა შეიცვალა. საქმე ის არის, რომ აგასიმ მკვეთრად „მოუმატა" და თებერვალში სან-ხოსეში სამპრასს სძლია. ამ დღეებში მონტე-კარლოში ისევ სამპრასმა გაიმარჯვა — 6:3, 7:5.

ერთი სიტყვით, მეტოქეობა გრძელდება. პირადი ანგარიში კი სამპრასის სასარგებლოდაა. მან მოიგო 13 შეხვედრა, აგასიმ კი — 9.




**29.IV. საქართველოს პირველი არხი.** კალათბურთი. ეროვნული ჩემპიონატი „ვითა" — „აზოტი" (23.55). **კავკასია:** სპორტული გადაცემა „ვარსკვლავები" (15.20). **იბერია:** „ბურთი და მოედანი" (11.50. 21.10). **РТР:** ფეხბურთი. რუსეთის თასი (17.55). **НТВ:** საფეხბურთო თასი (18.35). **ТВ центр:** ავტო-მოტო სპორტის სამყაროში (0.50). **РЕН TV:** სპორტ-კურიერი (0.05).
**30.IV კავკასია:** სპორტული გადაცემა „ვარსკვლავები" (15.20). **იბერია:** „ბურთი და მოედანი" (11.50; 21.10). **ТВ центр:** სავარაუდოა – კალათბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ნახევარფინალი (19.55). **РЕН TV:** სპორტ-კურიერი (0.15.)
**1.V. საქართველოს პირველი არხი:** „ასპარეზი" (21.15). **„კავკასია":** სპორტული გადაცემა ვარსკვლავები (14.55) **„იბერია":** „ბურთი და მოედანი" (12.05; 21.10). **ОРТ-1:** ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი (1.30). **РТР:** სპორტული ტანვარჯიში. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. (0.10). **РЕН TV:** სპორტ-კურიერი (0.10).

**საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი და სპორტის ვეტერანთა საბჭო ღრმა სამძიმარს უცხადებენ წარსულში საქართველოში ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის ხელმძღვანელ მუშაკს, საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებულ მოღვაწეს თეიმურაზ მაჩაბელს შვილის, ქ. თბილისის ბავშვთა რეაბილიტაციისა და სპორტული მედიცინის დისპანსერის მთავარი ექიმის**

**ბია მაჩაბლის**

**გარდაცვალების გამო.**

**ქ. თბილისის სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ქ. თბილისის ბავშვთა რეაბილიტაციისა და სპორტული მედიცინის დისპანსერის მთავარი ექიმი**

**ბია მაჩაბელი**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს**

## საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი (თბილისი)



**შამათი 3 სვლაში**

**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა: ამოცანა ვერაგული ჩასაფრებით იხსნება —**
**1. ლb8!! d5 2. კ:c7! მფg5**
**3. კd8X.**

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე